

ქეთევან დიგმელაშვილი, დავით ყვავაძე
KETEVAN DIGMELASHVILI, DAVID KVAVADZE

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
ისტორიული ძეგლები

HISTORICAL HERITAGE
OF LAGODEKHI MUNICIPALITY



2021 თბილისი
TBILISI

ქეთევან დიგმელაშვილი, დავით ყვავაძე
KETEVAN DIGMELASHVILI, DAVID KVAVADZE

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
ისტორიული ძეგლები

HISTORICAL HERITAGE
OF LAGODEKHI MUNICIPALITY

თბილისი
TBILISI
2021

წინამდებარე წიგნი ლაგოდების მუნიციპალიტეტის მეტ-ნაკლებად შემორჩენილი ისტორიული ძეგლების პირველი თავმოყრილი პუბლიკაციაა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ძეგლების სტილისტურ აღწერას, არამედ ამ ძეგლების იდენტიფიცირებას ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ისტორიულ ტოპონიმებთან და რიგ შემთხვევაში მათ ისტორიას. ნაწილი ამ ძეგლებისა მეტ-ნაკლებად აღწერილი განლდათ ქართველი მეცნიერების მიერ. თუმცა, არის ისეთებიც, რომლებიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისა და საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისთვის.

რედაქტორი: **გიორგი ქეიშვილი, გიორგი გაგოშიძე**
Editor: **Giorgi Cheishvili, Giorgi Gagoshidze**

ინგლისური თარგმანი: **ლაურა მაფიცოლი, დავით დარეჯანაშვილი**
English Translation: **Laura Mafizzoli, Davit Darejanashvili**

ფოტოების ავტორები: **ქეთევან დიდმელაშვილი, დავით ყვავაძე, თამარ ლობჯანიძე, გიორგი სულამანიძე**
Authors of photos: **Ketevan Digmelashvili, Davit Kvavadze, Tamar Lobjanidze, Giorgi Sulamanidze,**

რუკების ავტორი: **გიორგი ბურჯანაძე**
Map author: **Giorgi Burjanadze**

შინაარსი

შესავალი	5
ლაგოდეხის ისტორიული ფურცლები	8
ლაგოდეხის ისტორიული ძეგლები.....	24
სოფ. განჯალა	24
საყდარი	24
სოფ. გურგენიანი	24
ცინე-სახლი	24
ეკლესია (წმ. გიორგი).....	25
სოფ. ვარდისუბანი	25
ეკლესია.....	26
ეკლესია (ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია).....	26
სოფ. თელა	27
მთავარანგელოზთა სახელობის სამონასტრო კომპლექსი	28
ცინე	30
სოფ. კაბალი	31
ქარვასლა-ფუნდუკი	31
ლაგოდეხი	33
ლაგოდეხის მონასტერი (ქოჩალოს ბაზილიკა).....	35
ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია	37
სოფ. ლელიანი	39
წმ. თევდორეს სახელობის ეკლესია	39
ეკლესია (ჭრელი საყდარი)	42
სოფ. მაწიმი	42
მაჭის/თოდას ცინე.....	44
ქარვასლა-ფუნდუკი	46
სოფ. მსხალგორი	47
სამონასტრო კომპლექსი	48

ეკლესია (წმ წინო/ლაკო)	52
სოფ. ნაწისქვილარი	53
ეკლესია (წმ. თევდორე)	53
სოფ. ონანაური	54
ეკლესია (ღვთისმშობელი)	54
სოფ. რაჭისუბანი	55
ეკლესია (სალესავის ხევის ეკლესია)	55
სოფ. საქობო	56
ეკლესია (წმ. გიორგი)	57
სოფ. ფოღაანი	57
ეკლესია (წმ. გიორგი)	57
სოფ. ფონა	58
არქიტექტურული კომპლექსი (წმ. სამება)	59
სოფ. შრომა	60
ეკლესია	60
ეკლესია	61
სოფ. ხოშატიანი	61
ეკლესია (ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია)	62
წყაროები და ლიტერატურა	65
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცული მასალა	69
Introduction	70
Historical Context	71
Historic Monuments	74
ილუსტრაციები	88

შესავალი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავს. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე ვრცელდება, დასავლეთით - ყვარლის, სამხრეთიდან კი - გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. გვიანი შუა საუკუნეებიდან მდ. ალაზანსა და კავკასიონს შორის მდებარე მიწას „გაღმა მხარი“ ეწოდებოდა, შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტიც ამ გაღმა მხრის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია ნოტიო სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება, მთისა (კავკასიონის მთავარი ქედი) და ბარის (ალაზნის ველი) ზონად იყოფა და ზ.დ. 200-3484 მ სიმაღლეზეა გაშლილი. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დღეს 1 ქალაქი და 63 სოფელია გაერთიანებული.

წინამდებარე წიგნი სწორედ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლების იმ ნაწილის თავმოყრას, რომლებიც მეტ-ნაკლებად დროს გადაურჩა და შესაძლებელია მათ შესახებ მსჯელობა. ამ ძეგლების უმეტესობაზე სამეცნიერო კვლევები არ არსებობს და შესაბამისად, პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. გარდა ამ ძეგლებისა, უკვე ძლიერ ფრაგმენტულად ან ქვების გროვადაა შემორჩენილი რამდენიმე ნაეკლესიარი, ნაცისხარი, თუ ნამოსახლარი, რომელთა შესახებაც წიგნში აღარ გავვიმახვილებია ყურადღება, რადგან მათზე არქეოლოგიური გათხრების გარეშე რამის თქმა შეუძლებელია (მაგ. სოფ. გელათის წმ. გიორგის ნაეკლესიარი, სოფ. ნაწისქვილართან მდებარე ე.წ. ნოვიას საყდარი, სოფ. ზემო მსხალგორის ნაეკლესიარი, ნაცისხარი მდ. ლაკოს ხევში, ნასახლარები სოფ. ხეჩილთან, ვაშლოვანთან და სხვა).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ განხორციელებული კვლევები ცოტაა. ამაში იგულისხმება, როგორც არქეოლოგიური გათხრები, ისე საკულტო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობების სახელოვნებათმცოდნეო და ისტორიული შრომები. ლაგოდეხის ტერიტორიაზე დღემდე განხორციელებული

არქეოლოგიური გათხრებიდან უნდა დასახელდეს ულიანოვკაში (დღევანდელი ჭიაური) ენეოლითური ხანის „წითელგორების“ სამაროვანი, ნამოსახლარები „წითელი გორა“ და „დამწვარი გორა“ და ძვ.წ. XIV-XII სს. ორმოსამარხები (ვარაზაშვილი 1980: 18-37; დედაბრიშვილი 1979: 17; დარეჯანაშვილი... 2019: 322-325), სოფ. ჭაბუკიანთან გათხრილი ე.წ. ანანაურის ყორღანები და „ჭინჭრიანი გორა“ (ორჯონიკიძე 2014: 44-45; მახარაძე... 2016), სოფ. მაწიმში გათხრილი გვიანი შუა საუკუნეების აბანო (ჭილაშვილი... 1978: 106-109), ზემო მსხალგორში შესწავლილი სამონასტრო კომპლექსი (ყვავაძე... 2018: 66-69; დიღმელაშვილი... 2019: 167-171) და სხვა.

რაც შეეხება ისტორიული ძეგლების სახელოვნებათმცოდნეო და ისტორიულ კვლევებს, ისინი ერთეულია. ძირითადად ესაა გ. ჩუბინაშვილის კვლევა ლელიანის წმინდა თევდორეს ეკლესიაზე, ლ. ჭილაშვილის, კ. მელითაურის კვლევები მაჭის ციხესთან და თოღას ნაქალაქართან დაკავშირებით, ლ. ჭილაშვილის კვლევა ლაგოეთის ეკლესიასთან დაკავშირებით, ი. ელიზბარაშვილის კვლევა ქოჩალოს ეკლესიაზე და სხვ. (Чубинашвили 1959; Мелитаური 1972; ჭილაშვილი 1978; 1980; ელიზბარაშვილი 2001). გარდა ამისა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არქივში დაცულია 1947 წელს ვ. წილოსანისა და ს. მარგველაშვილის მიერ შესრულებული ძეგლების ანაზომები, და მ. აბაშიძის მიერ 1988 წელს შედგენილი ძეგლების საატრიცხვო ბარათები. ბუნებრივია, ყველა აღნიშნული კვლევა გამოყენებულია წინამდებარე პუბლიკაციის მომზადებისას.

ძეგლების ისტორიის კვლევას ართულებს ერთი მხრივ ისტორიულ წყაროებში დაცული ინფორმაციის სიმწირე, მეორე მხრივ კი ისტორიული მენსიერების წყვეტა. როგორც ცნობილია, XVII-XVIII სს. ჯერ შაჰ-აბასის ლაშქრობებმა, ხოლო შემდეგ ლეკიანობამ ეს ტერიტორიები თითქმის გააუდაბურა. გაუკაცრიელებულ ადგილებზე თანდათან ჩამოვიდნენ და დასახლდნენ თურქმანული ტომები. XIX ს. შუა წლებში ლაგოდეხში რუსული ჯარის ნაწილი ჩადგა და იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ლაგოდეხის ტერიტორიის მოსახლეობის უმრავლესობას რუსები წარმოადგენდნენ. XX ს. დასაწყისში აღნიშნულ მიწებზე დასავლეთ საქართველოდან და კახეთის სხვა ადგილებიდან გადმოსული მოსახლეობა დამკვიდრდა.

აღნიშნულმა მოვლენებმა თითქმის დაკარგა გაღმა მხრის ამ ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების ისტორია, გარკვეულ შემთხვევებში კი თავად ძეგლებიც. ის რაც დროს გადაურჩა, ანდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეორედ გაცოცხლდა, შეძლებისდაგვარად ამ წიგნში იქნა თავმოყრილი.

წიგნი მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით ორივე უწყების ხელმძღვანელებს.

ლაგოდების ისტორიული ფურცლები

ლაგოდები საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი დასახლებული პუნქტია. მის დაარსებას XVIII ს. ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მეფე არჩილ მეორეს მიაწერს (ვახუშტი 1973: 543-544). მისი ძველი ტოპონიმის - ლაკუას - ეტიმოლოგია, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ლათინურ ენაზე იხსნება როგორც წყლიანი ადგილი, ქართულად კი როგორც - ჯურღმული ნაგები (სულხან-საბა 1991: 404). ალ. ღლონტის მიხედვით კი, ლაგოდები ლაგოეთიდან მიღებული ტოპონიმია, რომელიც თავის მხრივ, ლაკოს-ლაკუს-ლაგოს უძველესი ქართული მსაზღვრელიდან წარმოშობილი ფუძეა (ღლონტი 1981: 13-14). რაც შეეხება ლაგოდებს, ის პირველად ქართლის კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის სვეტიცხოვლისადმი 1010-1014 წწ. დაწერილ ანდერძში იხსენიება, როგორც ჰერეთში მდებარე პუნქტი (ქარ. ისტ. საბ. კორპ. 1984: 26).

ლაგოდები ისტორიული ჰერეთის შემადგენელი ნაწილია. ჰერეთმა, XI ს. ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით, სახელი ჰეროსის მიერ ივრისა და ალაზნის შესართავთან აშენებული ქალაქიდან მიიღო (ქართლის ცხოვრება 1955: 5). ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების მიხედვით, ძვ.წ. I ათასწლეულისთვის ეთნოგრაფიული, ხოლო ძვ.წ. III ს. ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ უკვე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ჰერეთი მოიცავდა ტერიტორიას: დასავლეთით - მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ რუსთავამდე, სამგორ-ჩადვირისა და გარეჯის მთას შორის ხაზით მდ. იორამდე, სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, თურდოს ხეობით ალაზნამდე, ალაზნის გაყოლებით ბახტრიონამდე, შტორის ხეობით კავკასიონამდე; ჩრდილოეთით - კავკასიონის ქედამდე; აღმოსავლეთით - ალაზნის გაღმა მხარს იორ-ალაზნის შესართავამდე¹, სამხრეთით - მტკვრის შუა დინების მარცხენა სანა-

1 ჰერეთის გაღმა მხრის აღმოსავლეთის საზღვრის საკითხი V საუკუნემდე პრობლემატურია და მას ვერც ერთი მეცნიერი ვერ ასახელებს. ერთადერთი მინიშნება, რომელიც ამ პერიოდის საზღვარზე არსებობს, არის ვახუშტი ბატონიშვილის მითითება, რომლის მიხედვითაც კავკასიის ეთნარქთა შორის მამულების განაწილების დროს, ჰერეთის და მოვაკანის (ანუ ალბანეთის) საზღვარი გადიოდა მცირე და დიდი ალაზნის (ანუ იორ-ალაზნის) შესართავიდან „გამართებით“ კავკასამდე (ვახუშტი 1973: 48), რაც უნდა გულისხმობდეს მდ. გიმისწყლის ბუნებრივ საზღვარს (მაღლობა გ. ლალიაშვილს მოსაზრების გაზიარებისთვის). თუმცა, თუ ვახუშტის დავეყრდნობით, მაშინ გადასასინჯი იქნება ქართველი მეცნიერების მოსაზრება, იმის შესახებ, რომ სომხურ წყაროებში ნახსენები უხის და ბუხის ალბანური ოლქები უნდა ლოკალიზებოდეს შაქა და ბელაქანს შორის (შუსხელიძე 1977: 187-188).

პირობდე. V საუკუნეში, ქართლის სამეფოს აღმოსავლეთისკენ ექსპანსიის შედეგად, ჰერეთი ჯერ აღმოსავლეთის საზღვარს იცვლის და მდ. ალაზნის აღმოსავლეთით, კავკასიის ალბანეთის გარკვეულ ტერიტორიას იერთებს, ხოლო IV-V საუკუნეებიდან თანდათან კარგავს დასავლეთის ტერიტორიას, რომელიც ჯერ კახეთის საერისთავოს, ხოლო VIII ს. ბოლოდან კახეთის საქორეპისკოპოსოში ინაცვლებს (მუსხელიშვილი 1977: 79,187-188; მუსხელიშვილი 1980: 64-67, 125; მუსხელიშვილი 1967: 111-112; ლალიაშვილი 2020: 96-135; ვრცელი ლიტერატურა და წყაროები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. იქვე).

ჰერთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ წლების წინ ერთიანი აზრი არ არსებობდა.² ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ჰერების ტომი ეთნიკურად ქართველური წარმოშობის იყო. იგივეზე მიუთითებს არქეოლოგიური მასალაც, რომლის მიხედვით, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ისინი ცენტრალური ამიერ-კავკასიის (დღევანდელი აღმ. საქართველოს) გვიანბრინჯაოს კულტურის ლოკალური მატერიალური კულტურის მატარებლები იყვნენ. ამავე არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, გვიანბრინჯაოს ხანაში ეთნიკური ჰერეთის ტერიტორიაზე არა მხოლოდ ეთნიკური გაერთიანება, არამედ პოლიტიკური გაერთიანებაც არსებობს (ფიცხელაური 2013: 234). სწორედ ამ პოლიტიკურ-ეთნიკური გაერთიანების ანარეკლი უნდა ასახულიყო ქართულ წერილობით წყაროებში კავკასიელ ეთნარქთა შორის მამულების განაწილების შესახებ მონათხრობში (ლეონტი მროველი, ვახუშტი ბატონიშვილი).

ძვ.წ. V-IV სს. ჰერეთის ტერიტორია აღმოსავლეთ და სამხრეთ კავკასიასთან ერთად აქემენიდური ირანის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ძვ.წ. III საუკუნეში, ფარნავაზ მეფის მიერ ერთიანი ქართლის სამეფოს შექმნის შედეგად ჰერეთი მისი ნაწილი გახდა, რომელიც მეფის ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად, ან კახეთის ერისთავის მმართველობაში უნდა შესულიყო, ან ცალკე საერისთავოდ ჩამოყალიბებულიყო (ვახუშტი 1973: 57; ფიცხელაური 1973: 192-197; ლალიაშვილი 2020: 108-115; 152-165).

აქედან მოყოლებული, ჰერეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია, თუმცა, კი იყო პერიოდები, როცა ქართლის სამეფოს

2 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი მსჯელობა და ლიტერატურა იხ.: პაპუაშვილი: 1970: 84-108; ასევე ლალიაშვილი 2020: 136-165.

სისუსტის გამო, მისი ცალკეული ტერიტორიები ქართული სახელმწიფოს მიღმა აღმოჩნდებოდა ხოლმე.

V ს. ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ჰერეთი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულია საკუთარი ერისთავით (ვახტანგის დროს ასეთი ერისთავი იყო გრიგოლი) (ქართლის ცხოვრება 1955: 185). ამავე პერიოდში ჰერეთს უერთდება წუქეთის სამთავრო, რომელიც, როგორც ჩანს, თავიდან მოიცავდა თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავეების ჩათვლით ტერიტორიას (ანუ თუშეთი, ხუნზახი, დიდოეთი და წახური), ხოლო ქართლის სამეფოსთან შეერთების დროს უკვე გულისხმობდა ბელაქანსა და შაქს შორის მიწასაც (პაპუაშვილი 1970: 48-52; მუსხელიშვილი 1980: 65-67). ამავე პერიოდიდან, კახეთსა და კუხეთთან ერთად, ჰერეთი საუფლისწულო მამულია და ჯერ დაჩის, ხოლო შემდეგ მის შთამომავალთა საგანმგებლოა (ქართლის ცხოვრება 1955: 219).

VI ს. ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ერისმთვრობის აღდგენამდე, ადმოსავლეთ საქართველო ჰერეთითურთ სპარსულ ადმინისტრაციას დაექვემდებარა. VII ს. შუა წლებში კი არაბთა მოხარკე ხდება. ამ პერიოდში ქართლის პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვისა და რელიგიური ორიენტაციის ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს ქართლის მეფის, არჩილ მეორის მოღვაწეობა³, რომელიც განსაკუთრებულად აქტიურ პოლიტიკას ატარებს ჰერეთში: აშენებს ციხეებს, განაწესებს ერისთავებს (ასეთებად „ქართლის ცხოვრება“ ასახელებს ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს შთამომავლებს, რომლებიც არჩილმა შეიფარა და საგანმგებლოდ მისცა შაქიდან (დღევანდელ აზერბაიჯანში) გულგულამდე (თურდოს ხევი თელავთან) ტერიტორია) და ჯერ კიდევ წარმართულ მოსახლეობას აქრისტიანებს (ქართლის ცხოვრება 1955: 243-244).

VIII-IX სს. საქართველოში სამეფო-სამთავროთა ჩამოყალიბების პერიოდია. ერთ-ერთი ასეთია ჰერეთი, რომლის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ფორმირება VIII ს. ბოლოს იკვეთება. ქართული წყაროების თანახმად, ეს ამბავი ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლებს - ადარნასე ბრმის შთამომავლებს

3 არჩილ მეფის მოღვაწეობის თარიღთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს. ქართლის ცხოვრების მიხედვით, ეს უნდა ყოფილიყო VIII ს. შუა ხანები. უახლესი კვლევებით არჩილი ვახტანგ გორგასლის მეგვიდრე და ამღენად, VI ს. შუა ხანების მოღვაწეა (იხ.: სანაძე მ. ქართლის მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები. თბ., 2020).

უკავშირდებათ, რომლებიც ისედაც მართავდნენ ჰერეთს არჩილ მეფის მეფობის პერიოდში (ქართლის ცხოვრება 1955: 244; ვახუშტი 1973: 126; მუსხელიშვილი 1980: 64-65; პაპუაშვილი 1970: 175-190). მათ ჰერეთი სამეფოდ გამოაცხადეს და ახლადშექმნილ ქვეყანაში გარკვეული ადმინისტრაციული რეფორმაც გაატარეს: ის ოთხ საერისთავოდ დაყვეს - ხორნაბუჯის, ვეჯინის, მაჭისა და შტორის. დაყოფა, როგორც ჩანს, ჰერეთის მცირე პროვინციათა ტერიტორიებს უნდა დაფუძნებოდა. მაგალითად, პროვინცია კამბეჩოვანის ტერიტორიას მოიცავდა ხორნაბუჯის საერისთავო, წუქეთის (დღევანდელი საინგილოს) ტერიტორიაზე, რომელსაც, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვახტანგ გორგასლის დროს მთავარი ყავს, უნდა შექმნილიყო მაჭის⁴ საერისთავო (პაპუაშვილი 1970: 49,330-331). ამდენად, VIII ს. ბოლოს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებული ჰერეთი მოიცავდა გაღმა მხარს საინგილოთი მდ. ტურიან-ჩაიმდე, შიგნით კახეთს ვეჯინისა და გავაზის დასავლეთით, კამბეჩოვანს და შაქს მდ. მტკვარსა და კონჯაშინის ქედამდე (მუსხელიშვილი 1980: 120-125). ჰერეთის ადმინისტრაციული ცენტრი შაქი უნდა ყოფილიყო, საიდანაც ჰერეთის სამეფომ მეორე სახელი - შაქი მიიღო (მუსხელიშვილი 1980: 128-129).

IX საუკუნიდან ჰერეთის მმართველად გვევლინება შაქის მფლობელი საგვარეულო (საჰლ-სუმბატი, გრიგოლ ჰამამი, ადარნასე პატრიკი, იშხანიკი და იოანე სენექერიმი), რომელიც მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, არჩილ მეფის დროს ჰერეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონებთან უნდა იყოს კავშირში. სწორედ ამ სახლის პირველ წარმომადგენელთა ძალისხმევით შეძლო ჰერეთმა აღბანეთის მტკვრის მარჯვენა მხარის - რანის (იგივე ყარაბაღის) შეერთება, ხოლო 893 წ., მას შემდეგ რაც გრიგოლ ჰამამმა მეფის ტიტული მიიღო, ნამდვილ სამეფოდ იქცა (პაპუაშვილი 1970: 184-196). ჰერეთის სინონიმად კი ქართულ წყაროებში რანის სამეფო გაჩნდა.

4 ამ პროვინციათა და მათ მმართველთა არსებობა უფრო ადრეულ ხანაში დასტურდება „ქართლის ცხოვრების“, სუმბატ დავითის-ძის და არაბი ისტორიკოსის ბალაძორის მოწათხრობებით. არჩილ მეფის ჰერეთში მოღვაწეობის აღწერისას, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი უთითებს, რომ ვახტანგ გორგასლის დროს წუქეთს მთავარი ყავდა და წუქეთის ერისთავები არჩილის მეფობის დროს მართავდნენ არა მხოლოდ წუქეთს, არამედ თუმებს და ხუნძებს (დაღესტნელებს) (ქართლის ცხოვრება 1955: 143). სუმბატ დავითის-ძის თანახმად, VI ს. ბოლოსთვის კამბეჩოვანში მკვიდრდებიან გურგენ ბაგრატიონის ძმები - ასამ და ვარაზვარდი, რომელთა შთამომავლების მმართველობას კამბეჩოვანში სუმბატ დავითის-ძე XI საუკუნემდე უთითებს (ქართლის ცხოვრება 1955: 373), ხოლო ბალაძორის მოწათხრობით, VIII ს. 50-იან წლებში ხალიფა ომარის არაბი სარდალი ხარკის გადახდის პირობით უზავდება შაქისა და კამბეჩანის მფლობელებს (ლორთქიფანიძე 1973: 403).

იმავე დროს, ჰერეთი ერთვება საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ სამეფოებს შორის ჰეგემონობისთვის დაწყებულ ბრძოლაში, რომლის დროსაც ქართული პოლიტიკური ერთეულები ერთმანეთთან ქმნიდნენ გარკვეულ კოალიციებს. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა თბილისის საამიროც. სამეფო-სამთავროები, როგორც ჩანს, ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის დასასუსტებლად იყენებდნენ არაბთა ძალასაც. შესაძლოა, სწორედ ასეთ ფაქტთან გვაქვს საქმე, როცა თბილისის ამირას დასასჯელად კავკასიაში მოსულ არაბ სარდალს დამარცხებული ამირა კახელების წინააღმდეგ აქეზებს, რასაც მოსდევს კიდევ 820 წელს ხალიდ იბნ-იაზიდის ლაშქრობა კახეთსა და ჰერეთზე (პაპუაშვილი 1982: 173-175). დაახლოებით იგივე ამბავს აქვს ადგილი 914-915 წლებში, როცა კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე პირველმა, აბულ-კასიმთან დაზავების შემდეგ, აფხაზთა მეფე კონსტანტინე მესამესთან ერთად ილაშქრა ჰერეთის წინააღმდეგ. ვეჯინთან მომხდარი ორი ბრძოლის შემდეგ ჰერეთის მეფე აღარნასე პატრიკმა დამარცხება აღიარა და კონსტანტინეს სასარგებლოდ დათმო გავაზი და არეში, ხოლო კვირიკეს სასარგებლოდ - ორჭობი (ვახუშტისთან ორჭობის მაგივრად ბოჭორმაა დასახელებული) (ქართლის ცხოვრება 1955: 264; ვახუშტი 1973: 133; პაპუაშვილი 1982: 195). აღნიშნული ტერიტორიები ჰერეთის მიღმა მცირე ხნით, X ს. 30-იან წლებამდე დარჩა. აღნიშნულ პერიოდში ჰერეთის მმართველებმა ისარგებლეს რა იმით, რომ არაბთა ლაშქრობით დასუსტებულ კახეთს არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნეს (ვახუშტი 1973: 560).

აღარნასე პატრიკის გარდაცვალების შემდეგ, X ს. 40-60-იან წლებში ჰერეთს მისი ვაჟი იშხანიკი და მეუღლე - ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წევრის აღარნასე II ასული - დინარ დედოფალი მართავენ (ლორთქიფანიძე 1973: 407; პაპუაშვილი 1970: 200-201). ქართულ ისტორიულ წყაროებში და მათზე დაყრდნობით ისტორიულ ლიტერატურაშიც დამკვიდრებული შეხედულებით, სწორედ დინარ დედოფლის მიერ განხორციელდა ჰერეთში საეკლესიო რეფორმა, რომლითაც უარი ითქვა მონოფიზიტობაზე და დიოფიზიტობის აღიარებით ჰერეთი საბოლოოდ შეუერთდა მცხეთის ეკლესიას (ქართლის ცხოვრება 1955: 266; ვახუშტი 1973: 134, 559-560; ლორთქიფანიძე 1973: 415)⁵.

5 მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, 506-608 წწ. ქართლი და ალბანეთი სომხეთთან ერთად მონოფიზიტურ მრწამსზე გადავიდა, წყაროთა კრიტიკულმა ანალიზმა უჩვენა,

იმხანიკის მემკვიდრის იოანე სენექერიმის შემდეგ (ლორთქიფანიძე 1973: 407) წყაროები ჰერეთის მეფეებს აღარ ასახელებენ. თუმცა, X-XI სს. მიჯნაზე ჰერეთის მეფედ აბლა/აბულაღი იკვეთება⁶. ეს ის აბულაღი უნდა იყოს, რომელიც 1008 წელს უკვე ბაგრატ III მიერ დანიშნულ ჰერეთის მმართველად ჩნდება (ქართლის ცხოვრება 1955: 278-279). როგორც ჩანს, ჰერეთის მეფე აბულაღმა დიპლომატიური ლავირება სცადა მმართველობის შესანარჩუნებლად და კახეთის ქორეპისკოპოს დავითისგან განსხვავებით უბრძოლველად შეუშვა ბაგრატი ჰერეთში. მას შემდეგ კი, რაც ბაგრატმა მას მეფობა მაინც ჩამოართვა და დაამცრო, ბაგრატ მეფის ჰერეთიდან წასვლისთანავე ისევ კახეთის ქორეპისკოპოსს დავითს მიემხრო. ქორეპისკოპოსმაც არ დააყოვნა და ჰერეთი კახეთს შეუერთა (პაპუაშვილი 1982: 204-205). ჰერ-კახთა გაერთიანება ბაგრატ მეფის ინტერესებში არ შედიოდა, ამიტომ 1010-1011 წლებში მან კახეთ-ჰერეთში ილაშქრა და ორივე დაიპყრო. ტყვედ აყვანილთა შორის იყო კახეთის მეფის დავითის ძე - კვირიკე⁷ (ქართლის ცხოვრება 1955: 279; ვახუშტი 1973: 560-561; პაპუაშვილი 1982: 215). ბაგრატ მეფის გარდაცვალებისა და მცირეწლოვანი გიორგი პირველის გამეფების შემდეგ, კახ-ჰერი დიდებულები აჯანყდნენ, კვირიკე ტყვეობიდან გაანთავისუფლეს და კახეთ-ჰერეთის მეფედ გამოაცხადეს. ამით ჰერეთის სამეფოს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის არსებობა საბოლოოდ დასრულდა.

კვირიკე III (1014-1037 წწ.) მეფობა კახეთ-ჰერეთის აღმშენებლობის პერიოდია. მის სახელს უკავშირდება სამეფო ტერიტორიის ხელახალი

რომ ქართლს (და არც ალბანეთს) ამ პერიოდში რელიგიური კურსი არ შეუცვლია (აღნიშნულ საკითხზე იხ: ეპისტოლეთა წიგნი სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიტა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბ., 1968, გვ.97,161; ჯავახიშვილი ი. ქართული ერის ისტორია. წ. I. თხზულებანი თორმეტ ტომად. I. თბ., 1979, გვ. 350-352,386-389,419-429; ალექსიძე ზ. მასალები ღვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისთვის. საქ. მეც. აკად. მაცნე. ისტორიის... სერია. N3, 1973, გვ.145-166; ალექსიძე ზ. რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კავასიაში. საქ. მეც. აკად. მაცნე. ისტორიის... სერია. N1, 1974, გვ.103-110). მიუხედავად გარეუბ ძალთა არაერთგვის მცდელობისა, მონოფიზიტობას ცალკეულ შემთხვევათა გარდა, ქართლში უპირატესობა არ მოუპოვებია არც მომდევნო პერიოდში. ალბანეთში კი პირიქით - მონოფიზიტობამ იმძლავრა. ამავე დროს ქართლის სამეფოს საუკუნეების მანძილზე წარმართული ექსპანსია ალბანეთის ტერიტორიაზე, ბუნებრივია, გულისხმობდა რელიგიურ ექსპანსიასაც. ქართულ წყაროებში დაკული ცნობა დინარ დედოფლის რელიგიურ პოლიტიკაზე, უპირველესად ალბათ სწორედ ამ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვებას უნდა ასახავდეს.

6 მისი მეფობა ჩანს ქოჩალოს კვლევისაზე 2019 წ. აღმოჩენილი წარწერის ტექსტით (გაგომიძე 2019: 178-180).

7 ვახუშტის თქმით, ამ ლაშქრობის დროს ბაგრატს ტყვედ აუყვანია დინარ დედოფალიც. მ. ბროსეს მოსაზრებით, აქ საქმე უნდა გვექონდეს ბაგრატის მიერ დინარის ნუშტის აფხაზთა სამეფოში წასვენებასთან (ვახუშტი 1973: 560-561; Brosset 1849: 298-299).

დაყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად ცენტრებით რუსთავში, კვეტერაში, ჰანკისში, ხორნაბუჯში, ვეჯინში, მაჭში და შტორში (ვახუშტი 1973: 561). კვირიკეს მეფობას, წყაროთა თანახმად, თან ახლდა ქვეყნის აღმშენებლობა, რის გამოც კვირიკე დიდად იწოდა.

მისი მეფობის შემდეგ კახეთ-ჰერეთის მეფეები (გაგიკი და აღსართან I) საქართველოს მეფეების მოწინააღმდეგეთა რიგებში ერთიანდებიან და ჯერ ლიპარიტ ბაღვაშის მოკავშირედ, შემდეგ კი თურქ-სელჩუკთა სულთნის არფ-არსლანის მხარეს იბრძვიან. ამ პერიოდში საქართველოს მეფე ბაგრატ IV ორჯერ სცადა კახეთ-ჰერეთის საბოლოოდ დამორჩილება და ჰერეთის დიდი ნაწილიც კი დაიკავა, თუმცა, დიდი ხნით შენარჩუნება ვერ შეძლო (ქართლის ცხოვრება 1955: 297-300, 306-309, 312; პაპუაშვილი 1970: 227-230).

1101 წლიდან კახეთ-ჰერეთის შეერთებისთვის ბრძოლებს იწყებს დავით აღმაშენებელი. 1103 წ. მას შემდეგ რაც ადგილობრივი დიდებულების მიერ შეპყრობილი კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან II ჩაიბარა, კახეთ-ჰერეთის სამეფო გააუქმა. ამიერიდან ჰერეთი ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაშია, რომლის საერისთავოები უქმდება და იქმნება ახალი, ასევე ჰერეთის საერისთავო, თუმცა, შეცვლილი საზღვრებით: ამ დროიდან ეს საერისთავო მოიცავდა ალაზნის გაღმა მხარს შაქამდე (მუსხელიშვილი 1967: 122-123). წყაროებშიც ჰერეთად უკვე სწორედ ეს ტერიტორია იწოდება. ჰერეთის ერისთავთა ვინაობა გიორგი III მეფობამდე წყაროებით უცნობია. XII ს. 50-იანი წლებიდან ამ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ინიშნებიან კოლონკელისძეები, რომლებიც წარმოშობით შიდა ქართლიდან იყვნენ. მეფის წინააღმდეგ ივანე ორბელის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, კოლონკელიძეები კარგავენ ერისთავობას და 1184 წლიდან ჰერეთის ერისთავები ხდებიან გრიგოლისძეები. XIII ს. შუა ხანებიდან XIII ს. ბოლომდე ჰერეთის ერისთავთა ვინაობა უცნობია. დავით VIII მეფობის დროს ამ თანამდებობაზე ჩანს სამადავლა, რომელიც გრიგოლისძეთა საგვარეულოდან არ მოიაზრება, თუმცა, ადგილობრივ დიდებულადაა მიჩნეული (Jojuა 2020: 77-81; ბახტაძე 2003: 122-124). XIV საუკუნიდან ჰერეთის საერისთავოს შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

მონღოლთა დაპყრობების, ბერქა ყაენისა და თემურ-ლენგის ლაშქრობათა შედეგად ისტორიულ-გეოგრაფიული ჰერეთი რამდენჯერმე აოხრდა.

1466 წლიდან, მას შემდეგ რაც ერთიანი საქართველოს სამეფოს უკანასკნელმა მეფე გიორგი VIII-მ კახეთში განაგრძო მეფობა, ისტორიულ-გეოგრაფიული ჰერეთი ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შევიდა. ადგილობრივ თავადთა დამორჩილების შემდეგ, მეფემ კახეთის ადმინისტრაციულ-მმართველობითი მოწყობა შეცვალა და სამეფო ოთხ სადროშოდ და სამოურავოებად დაყო (ვახუშტი 1973: 568). მათგან გაღმა მხარი, ანუ დღევანდელი ყვარლისა და ლაგოდეხის ტერიტორია და საინგილო, მემარჯვენე სადროშოში გაერთიანდა და ნეკრესელ ეპისკოპოსს დაექვემდებარა (ასათიანი 1999: 244-245). ამავე სადროშოში უნდა შესულიყო გიორგი მეფის რეფორმების დროს წარმოქმნილი ჭიაურის სამოურავოც. ამ პერიოდის წყაროებში ჰერეთი აღარ იხსენიება. ის ახალმა ტერმინებმა - გაღმა მხარმა, ელისენმა, შიგნით კახეთმა, ქიზიყმა და გარეთ კახეთმა ჩაანაცვლა (ვახუშტი 1973: 524).

XVI საუკუნის შუა ხანებიდან კახეთის სამეფო აღმავლობასა და ძლიერებას განიცდის. ლევან და ალექსანდრე II კახთა მეფეების პერიოდში კახეთმა ირანთან და ოსმალეთთან დიპლომატიური პოლიტიკის წყალობით სიმშვიდე მოიპოვა, რამაც ასახვა ქვეყნის ეკონომიკურ-კულტურულ აღმავლობაშიც ჰქონდა. სწორედ ამ მეფეების მეფობის დროს განახლდა და აშენდა კახეთში არაერთი ტაძარი თუ საცხოვრებელ-სათავდაცვო ნაგებობა.

1613-1617 წწ. სპარსეთის შაჰის აბას I-ის ლაშქრობების შემდეგ კახეთის ეს აღმავლობა დასრულდა. დასახლებული პუნქტებიდან ბევრი ნასახლარად და უდაბურ ადგილად იქცა. ასეთთა რიგში დღევანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთი ნაწილიც იყო.

ამ პროცესების პარალელურად კახეთმა (კონკრეტულად კი ისტორიულმა ჰერეთმა) თანდათან დაკარგა ტერიტორიები: ირანის შაჰის გადაწყვეტილებით 1603 წელს ჯერ კაკ-ენისელი ჩამოერთვა (დღევანდელი საინგილო), სადაც მუსლიმური სასულთნო შეიქმნა, XVII ს ბოლოსთვის კი გაღმა მხრის აღმოსავლეთ ნაწილში (დღევანდელი ზაქათალა-ბელაქანი) ლეკები იწყებენ ჩამოსახლებას და XVIII ს. დასაწყისში აქ უკვე ჭარის სახანო არსებობს. მოყოლებული აქედან, კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი მიწები ჭარელთა მუდმივ თავდასხმებს განიცდის (პაპუაშვილი 1970: 328-329; Хроника... 1931).

1771 წ. საქართველოში მოგზაურობისას, გერმანელი მეცნიერი იოჰან გიულდენშტედტი წერდა, რომ გავაზი და ჭიკაანი კახეთის

უკიდურესი აღმოსავლეთის დასახლებული სოფლები იყო გაღმა მხარში, ხოლო ქარის სოფელ ბელაქნამდე, სადაც ადრე ამბობენ რომ ქართველები ცხოვრობდნენ, ახლა ქართველები აღარ გხვდებიანო (გიულდენშტედტი 1962: 29-31).

1801 წლიდან რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, გაღმა მხარი თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში მოექცა. ამავე საუკუნის შუა ხანებში ლაგოდეხის ტერიტორიაზე რუსული ჯარი დგება, ხოლო ტერიტორია სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ ყოფილ ჯარისკაცთა, სხვადასხვა აჯანყებებში მონაწილე თუ იმპერიისთვის არასასურველ პირთა გადასახლების ადგილად იქცა. ასე აღმოჩნდნენ ლაგოდეხში რუსები, პოლონელები... მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მონაცემებით, XIX ს. 70-იანი წლებიდან ლაგოდეხში კახეთის ზოგიერთი სოფლიდან (მაგ. ბოდბისხევი) გლეხობის გადმოსახლებას აქვს ადგილი, XIX ს. 80-იანი წლების მონაცემებით, ლაგოდეხსა და მის შემოგარენში მოსახლეობის უმრავლესობას მაინც რუსები (მალაკნების ჯგუფი) შეადგენდნენ (ჯანაშვილი 1880: 1; ნაკაშიძე 1905: 2-3; Кондратенко Е. Этнографическая карта Тифлисской Губернии и Закатальского Округа 1886 года). XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისთვის ლაგოდეხის მიწებზე დასავლეთ საქართველოსა და კახეთის სოფლებიდან გადმოსულები სახლდებიან. სწორედ ამ პროცესების გამოძახილია 1912 წლიდან სოფ. შრომაში (ლაგოდეხთან), ხოლო 1916 წლისთვის უკვე სოფ. ბაისუბანში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული ქართული სკოლების არსებობა (იხ.: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომის ოქმები; სახალხო ბიბლიოთეკებისა და სკოლების მოქმედების ანგარიშები).

* * *

თუ კი არჩილ მეფის მიერ დაარსებულ ლაკოსტის ციხეს, ვახუშტი-ზე დაყრდნობით, გავაიგივებთ დღევანდელ ლაგოდეხთან, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, ის, ერთი შეხედვით, წუქეთის საერისთავოს შემადგენლობაში აღმოჩნდება. არადა ვახუშტიზე დაყრდნობით, წუქეთი გიშისა და ბელაქნის წყალს შორის მდებარე

პროვინციას წარმოადგენდა (ვახუშტი 1973: 539-540; პაპუაშვილი 1970: 298; მუსხელიშვილი 1980: 65-67)⁸.

VIII ს. ბოლოს ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებული ჰერეთი ადარნასე ბრმის შთამომავლების მიერ ოთხ - შტორის, ხორნაბუჯის, ვეჯინის და მაჭის - ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყო. ამ ადმინისტრაციული დაყოფის საზღვრები წყაროებით უცნობია. თუმცა, ვიცით როგორ იყო დაყოფილი ჰერეთის ტერიტორია კვირიკე III კახეთ-ჰერეთის მეფის (1009-1037 წწ.) მიერ განხორციელებული რეფორმის შედეგად: ხორნაბუჯის საერისთავო მოიცავდა კამბეჩოვანს (ქიზიყს) და გარეთ კახეთს კუხეთის საზღვრამდე, ალაზნის გამოღმა, გომბორის მთისა და მტკვარს შორის ტერიტორიას; ვეჯინის საერისთავო - ქიზიყის საზღვრის დასავლეთით მდ. თურდოს ხევამდე, ალაზნისა და ჰერეთის, იგივე გომბორის მთის შიგნით ტერიტორიას, ანუ, გვიანდელ შიგნით კახეთს; მაჭის საერისთავო - მაჭის წყლის აღმოსავლეთს და ალაზნის მარცხენა მხარს შორის მდებარე მიწას შაკიხითურთ და ხუნძახითურთ (ანუ წუქეთს); შტორის საერისთავო - მდ. შტორის ხევიდან მაჭის წყლამდე, ალაზნის მარცხენა ნაპირს დიდოეთითურთ, ანუ გაღმა მხარს (ვახუშტი 1973: 561; მუსხელიშვილი 1967: 108). ვინაიდან, VIII და XI საუკუნეების ჰერეთის ადმინისტრაციული ერთეულების სახელები ერთი და იგივეა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ტერიტორიულადაც ემთხვეოდა მცირე სხვაობის გარდა.

ამდენად, ამ ადმინისტრაციული დაყოფით, VIII-XI სს. ალაზნის მარცხენა მხრის, ანუ გაღმა მხრის ის ნაწილი, რაც დღევანდელი ყვარლისა და ლაგოდეხის ტერიტორიას მოიცავს, უმეტესად შტორის⁹, ნაწილობრივ კი მაჭის საერისთავოს შემადგენლობაშია¹⁰. X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის გარკვეულ მომენტებში შტორის და მაჭის საერისთავოები ერთი ერისთავის ხელშია გაერთიანებული.

XII საუკუნიდან შტორისა და მაჭის საერისთავოების ადგილას ჩნდება ჰერეთის საერისთავო.

8 „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს სწორედ ასე კითხულობდა ლევან ჭილაშვილი და არჩილის დაარსებულ ლაკოსტს წუქეთში მოიარებდა, ხოლო ვინაიდან ლაკოსტის ციხედ მიიჩნევდა კაბალისა და მის მარჯვენა მენაკად ლაკოს ხერთვისში შემორჩენილ ნანგრევებს, შესაბამისად, წუქეთის დასავლეთის საზღვარიც კაბალის წყლამდე გადმოჰქონდა (ჭილაშვილი 1980: 194-196).

9 საერისთავოს ცენტრად მოიაზრება ალაზნისა და ჩელთის შესართავს ქვემოთ მდებარე ტურის ციხე (მუსხელიშვილი 1967: 107-108).

10 საერისთავოს ცენტრი, სახელწოდებებიდან გამომდინარე, მაჭი უნდა ყოფილიყო.

XV ს. გიორგი I კახთა მეფის რეფორმის შემდეგ, მაჭი-შტორის საერისთავოს უდიდესი ნაწილი, როგორც ჩანს, ჭიაურის სამოურავოში შევიდა.

გაღმა მხრის ამ ნაწილის (ვგულისხმობთ დღევანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას) ტოპონიმები ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში VIII საუკუნის საქართველოს ისტორიის კონტექსტში ჩნდება. XI-XV სს. წყაროებით ესაა ლაკუასტი, ლაგოდეხი და მაჭი. XV-XVII სს. - ლაგოეთი/ლაგოდეხი, მაჭი, ჭიაური, არბუხი, ბარაუნთა, მთავარანგელოზთა და წმინდა თევდორეს მონასტრები და წმინდა გიორგის ეკლესია, მდ. ინაბოტი. XVIII ს. ქართველი ისტორიკოსები - ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ამ ჩამონათვალს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან ტოპონიმს უმატებენ და მათ მდებარეობასაც მეტ-ნაკლებად სრულად გადმოგვცემენ.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „ბელაქნის წყლის შესართავს ზეით მოერთვის ალაზანს მაწის წყალი, გამოსდის ხუნძახსა და ამას შორის კავკასს, მოდის ჩდილო-აღმოსავლეთს შუადამ დასავლით სამხრეთს შუა. ამ ხეზუდ არს, მთასა შინა, თოლა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშუენვარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაჭი. აქ ეყრების ხევი სხუა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე მისვე კავკასიდამ. ამ ხეობათა ზედა ყოფილა შენობა კაცთა სიმრავლით, არამედ შემდგომად შააბაზისა ლეკთა მიერ ოხერ არიან. ამ მაწის წყლის ჩდილოთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწაყალისა და აწ უქმი. ამას ზეით, ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკუათისა, მდ მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული; მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოხერი. ამან მეფემანვე აღაშენა საძმორის ციხე და ეკლესია. კუალად მაწის წყლისა და ამ ციხეთ ზეით მოერთვის ალაზანს ნეინის წყალი; გამოსდის ლეკეთსა და ამას შორის კავკასსა, და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და ველსა ზედა ფრიად გრეხით. ამ წყალზედ არს ჭიაური და ქუაბლოვანი... ხოლო ნეინის წყლის ზეით, ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, არს ციხე კართუბნისა და აწ ცალიერი, მას ზეით, ჩდილოთკენ, ველსა ზედა, გორის წყლის ციხე და აწ უქმი. ამათ ზეით ერთვის ალაზანს ბედიყრის წყალი, გამოსდის კავკასის კალთას, დის ჩდილოთ-აღმოსავლის შუადამ, მოდის დასავლეთს-სამხრეთს შუა. ამაზედ არს სტეფანწმინდა, მონასტერი, მამათაგან ანუ წმიდის ეფთვიმესგან აღშენებული...კუალად ალაზანს ერთვის, ბედიყრის წყლის შესართავს ზეით, გავაზის წყალი...ამას

ზეით მოერთვის ალაზანს ყვარელისწყალი“ (ვახუშტი 1973: 543-545). ჩამოთვლილი პუნქტები სრულებით თანხვდება მისსავე შედგენილ გადამხრის რუკასთან, რომელზეც ტექსტიგან განსხვავებით, კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტია დამატებული (ვახუშტი 1997: 42).

აღნიშნული ტოპონიმებიდან, ჯერ კიდევ დასახლებულები, ჩამოთვლილი აქვს იოანე ბატონიშვილს ქართლ-კახეთის აღწერაში (1794-1799 წწ.). მის თანახმად, ნეკრესის მხარის მიწებს მიეწერებოდა წმ. სტეფანე, გავაზი, ჭიკაანი, კუჭატანი, არბუხი და ბედიყარა; ალაზანგადმა სამეფო, საეკლესიო და სათავადო სოფლები იყო: გორწითელი (იგივე გორისწყალი), ლაგოდეხი, ქუაშლოვანი (იგივე ქვაბლოვანი), ჭიაური და კართუბანი; ხოლო მაწეხი (იგივე მაჭი), დანუხთან, კატეხთან, ზაქათალასა და ბელაქანთან ერთად ენისელის მხარის სოფლებში შედიოდა (იოანე ბაგრატიონი 1986: 70-71).

ამდენად, ვახუშტისა და იოანე ბატონიშვილების აღწერებით მათ მიერ დასახლებული ტოპონიმები აღმოსავლეთიდან დასავლეთით ასე ლაგდება: მაჭის წყალი და მასზე მთაში მაჭის ციხე (სოფ. მაწეხი), გაშლილ ველზე ტრაწაყალის ციხე და ლაგოეთის ციხე (ლაგოდეხი); მდ. ნეინის წყალი და მასზე, გაშლილ ველზე ჭიაური და ქვაბლოვანი; ნეინის წყლის დასავლეთით კართუბნის ციხე (კართუბანი), გორისწყლის ციხე (გორწითელი), არბუხი, მდ. ბედიყარი ციხით, სოფლით და სტეფანწმინდის ეკლესიით, გავაზის წყალი გავაზით და სხვ.

ამ წყაროებში მოხსენიებულ ტოპონიმთა და ძეგლთა სახელების იდენტიფიცირება სრულად არ ხერხდება, თუმცა, ის რაც შეგვიძლია ვთქვათ, არის შემდეგი:

მაჭის ციხე, მოგვიანებით კი ქალაქი მაჭი, მდ. მაწიმისა და მისი შენაკადის ხერთვისში მდებარე ციხე და დღევანდელი სოფ. მაწიმის ტერიტორიაზე გაშლილი დასახლება იყო; ლაკოსტა/ლაგოეთი - დღევანდელი ლაგოდეხის ტერიტორიას შეესაბამებოდა; ლაგოდეხსა და მაჭს შორის ველზე მდებარეობდა ტრაწაყალის ციხე, რომელიც იგივე მაჭის ქარვასლაა; დღევანდელი თელას ქედის სამხრეთით სოფლების თელას, კართუბნისა და მათი შემოგარენის ტერიტორიაზე მდებარეობდა ბარაუნთის თემი, რომლის ტერიტორიაზეც იდგა წმინდა გიორგის ეკლესია და მთავარანგელოზთა მონასტერი - დღევანდელი თელას არქიტექტურული კომპლექსი. მათ დასავლეთით, მდ. ნეინის წყლის - დღევანდელი კაბალის (ჭილაშვილი 1980:

192-196; ხარაძე 2010: 156) ქვემო წელში მდებარეობდა ისტორიული ჭიაური¹¹ და ქვაბლოვანი. ეს ორი ტოპონიმი შეესაბამება დღევანდელ ჰერეთისკარს და საქობოს. მდ. კაბალთან მდებარეობდა კართუბნის დასახლება და ციხე, რომლებიც დღევანდელ სოფ. კაბალსა და კაბალში მდებარე ქარვასლას შეესაბამებოდა. მდ. კაბალსა და არეშისწყალს შორის მდებარეობდა გორისწყლის ციხე, რომლის იდენტიფიცირება არ ხერხდება, ისევე როგორც არეშისწყლის ნაპირზე მდებარე ბედიყრის ციხისა. დღევანდელი ლელიანი-ონანაურის ტერიტორიაზე, მის შემოგარენში გაშლილი იყო არბუხის თემი, წმინდა თევდორეს (ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონებისეული წმინდა სტეფანე) მონასტრით¹².

* * *

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეისთვის 40-მდე ისტორიული ძეგლია ცნობილი, რომელთაგან ორი (ყაზანის ღვთისმშობელი და ვარდისუბნის ეკლესია) მეფის რუსეთის პერიოდში აშენებულ საკულტო ძეგლს წარმოადგენს, დანარჩენი კი ადრეული შუა საუკუნეებიდან XVII საუკუნემდე პერიოდით დათარიღებული საკულტო და საერო დანიშნულების ნაგებობებია. მათგან წერილობითი წყაროებით მხოლოდ რამდენიმეზე მოგვეპოვება ინფორმაცია, დანარჩენზე კი ისტორიული ცნობები არ არსებობს და მათი დათარიღება სტილისტური ნიშნებით ხდება.

სამშენებლო პროცესები მეტწილად პოლიტიკურ პროცესებს სდევდა თან და მისით განისაზღვრებოდა. თუ თვალს გავადევნებთ ლაგოდების ძეგლებს, ვნახავთ, რომ გამონაკლისი არც აქ ყოფილა. მიუხედავად წმინდა ნინოს ბოდბეში მოღვაწეობისა, როგორც ჩანს, ჰერეთში ქრისტიანობის გავრცელებას გარკვეული სირთულეები შეხვდა. ეს პროცესი ვახტანგ გორგასლის მეფობის დროსაც აქტიურად იდგა და მისი საეკლესიო რეფორმის შედეგადაც ვერ მოგვარდა საბოლოოდ. VI ს. მანძილზე ქართლს ერთის მხრივ უხდებოდა ბრძოლა მაზდეანობის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივ წარმართულ ტრადიციებთან. სწორედ მასთან

11 დღეს ჭიაური ქვია ყოფილ ულიანოვკას, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე სოფელია.

12 ლაგოდების მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმიკის შესახებ იხ: დიდმელაშვილი ქ. კახეთის გაღმა მხრის რამდენიმე ტოპონიმის ლოკალიზაციისთვის. ქრონოსი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი. II. 2021.

კავშირში უნდა განვიხილოთ ქართლის სამეფოში VI ს. ასურელი მამების მოღვაწეობა, რომელთაგან სამმა (ხირსელმა, ნეკრესელმა და გარეჯელმა) სამოღვაწეო არეალად სწორედ ისტორიულ-გეოგრაფიული ჰერეთი აირჩია. ბუნებრივია, ქრისტიანობის განმტკიცება-გავრცელება სრულად სახელმწიფოს ხელისუფალთა ხელძღვანელობით მიმდინარეობდა. ამის მაგალითი იყო არჩილ II-ის მიერ ჰერეთის ერთი ნაწილის - წუქეთის წარმართობიდან მოქცევა.

ცხადია, არც ვახტანგ გორგასლისა და არც მისი მემკვიდრეების პოლიტიკა, მათ შორის არჩილ II-ისაც ჰერეთის ტერიტორიაზე სათავდაცვო და საკულტო ნაგებობათა მშენებლობის გარეშე არ მოიაზრებოდა, რომლებიც ერთის მხრივ აკონტოლებდნენ მნიშვნელოვან გზებს და გადასასვლელებს, ხოლო მეორენი ავრცელებდნენ და იცავდნენ ქრისტიანობას. ასეთი სამეფო ინტერესების დამცველ ციხე-ქალაქებად და საკულტო ძეგლებად გვევლინებიან ჭერემი, ხორნაბუჯი, ლაკუასტი, ნუხპატო, ბოდბე, ნეკრესი და სხვა. აღბათ ამათ რიცხვში უნდა მოვიზაროთ მსხალგორის ბაზილიკა და თელას მთავარანგელოზთა სახელობის კომპლექსიც. ამავდროულად, თვალშისაცემია ჰერეთის კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე ხევებში ჩამოყალიბებული მძლავრი სამიწათმოქმედო და სამეურნეო დასახლებები, რომელთაც საკუთარი სალოცავი ადგილი ქონდათ. ასეთთა შორის სახელდება არემის, ყვარლის ღუბეს, ჩელთის, ვეძისხევის ბაზილიკები და ძველი გავაზის ეკლესიები (ჭილაშვილი 1980: 15-21).

VIII ს. ბოლოს ჰერეთის დამოუკიდებელ სამთავროში ადმინისტრაციული ერთეულების - საერისთავოების ჩამოყალიბებას უნდა მოყოლოდა სწორედ შტორის და მაჭის ციხე-სიმაგრეების მშენებლობა. მომდევნო პერიოდში ჰერეთი ერთი მხრივ არაბებთან, მეორე მხრივ კი ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ბრძოლაში იყო ჩართული. თუმცა, მიუხედავად ამ სირთულეებისა, ჰერეთში მაინც გრძელდება მშენებლობა და ეს პერიოდი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, არქიტექტურული ფორმების ძიების პერიოდიცაა. ამ პერიოდშია აგებული მაგალითად, ნეკრესის გუმბათოვანი ტაძარი, ოზაანის ამაღლება, ვარცანის ეკლესია, ძველი გავაზის თავწმინდა წმინდა გიორგის ეკლესია... წყაროები ღუმან დედოფალ დინარის მმართველობის პერიოდზეც, თუმცა, თუ მის რელიგიურ პოლიტიკას გავითვალისწინებთ, არ უნდა გამოვრიცხოთ დედოფლის ბრძანებით გარკვეული სამშენებლო პოლიტიკის

წარმართვაც. მაგალითად, ნაქალაქარ არემის ეკლესიების განახლება-გადაკეთება X საუკუნეში ლ. ჭილაშვილს დაკავშირებული აქვს სწორედ დინარ დედოფლის მოღვაწეობასთან (ჭილაშვილი 1991: 178). ამავე პერიოდშია საფუძვლიანად განახლებული მსხალგორის ბაზილიკა და გარკვეული სააღმშენებლო სამუშაოები განხორციელებულია ლაგოდხის (ქოჩალოს) მონასტერზეც.

ერთიანი საქართველოს სამეფოს შექმნის შემდეგ საქართველოში განსაკუთრებული აღმავლობის ხანა იწყება, რაც სამშენებლო მასშტაბებშიც აისახა. გამონაკლისი არც ჰერეთი იყო. თუმცა, ლაგოდხის ტერიტორია მაინც მოკრძალებულ და სადა საკულტო ძეგლთა მშენებლობით შემოიფარგლა (ონანაურის ღვთისმშობლის ეკლესია, მსხალგორის დარბაზული ეკლესია, გურგენიანის ეკლესია, ლაკოს, შრომის და სალესავის საყდრები).

ყველაზე დიდი სამშენებლო ტალღა ლაგოდხის ტერიტორიაზე კახეთის სამეფოს ძლიერების ხანას, კონკრეტულად კი ლევან და ალექსანდრე II კახთა მეფეების ზეობას ემთხვევა (XVI ს. მეორე ნახევრიდან XVII ს. დასაწყისამდე). ამ დროსაა განახლებული მაჭი, თელას მთავარანგელოზთა ეკლესია, თევდორეწმინდის ეკლესია, გურგენიანის ეკლესია, აშენებულია ფონას და ხომატიანის ეკლესიები. უფრო მეტიც, თევდორეწმინდის, ხომატიანის, ფონას ტაძრების სამრეკლოები იმდენად იდენტურია, რომ არაა გამორიცხული მათ ერთი საერთო ქარგა ქონოდათ¹³.

თუ კი ონანაურის და ხომატიანის ეკლესიებში შესრულებული ამავე პერიოდის მხატვრობითა და ძეგლებზე არსებული წარწერებით ვიმსჯელებთ, მაშინ, უნდა აღინიშნოს, რომ თუ სამონასტრო ეკლესიების განახლება უშუალოდ სამეფო სახლის ქტიტორობით მიმდინარეობდა (მაგალითად, თელას მთავარანგელოზი და ლე-

13 აქ აუცილებლად უნდა გავავლოთ პარალელი ამ სამრეკლოების კიდევ ერთ იდენტურ სამრეკლოსთან, რომელიც მდ. ალაზნისა და ავანისხევის შესართავში აგებულ ყარაჯაანთ ეკლესიაზე დასავლეთიდანაა მიშენებული და ტერიტორიულად ახლოსაა თევდორეწმინდის, ფონასა და ხომატიანის ეკლესიებისგან (დღეს ის ყვარლის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, თუმცა, კახეთის სამეფოს პერიოდში ის ჭიაურის სამოურავოში შედიოდა). ყარაჯაანთ ეკლესიის სამრეკლოს კარიბჭის თაღოვანი კარის ორივე მხარეს ჩადგმული ასომთავრული წარწერებით ვიგებთ, რომ ტაძარი თუ სამრეკლო აუგიათ კოსტას და მის მუედლე მარეხს მეფეთ-მეფე გიორგის თაღის თამარის პატრონაჟით. პალეოგრაფიული წაკითხვით და წერილობითი წყაროების მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო 1465-1476 წლებს შორის (ქლენტი ნ. ყარაჯაანთ ეკლესიის უცნობი ლაპიდარული წარწერები მეფეთ-მეფე გიორგისა და მისი შვილის - თამარის მოხსენიებით. საქართველოს ეროვნული არქივის საერთაშორისო კონფერენცია: არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენტები და გამოწვევები. თბ., 2020). ამდენად, ფონას, თევდორეწმინდის, ხომატიანის და ყარაჯაანთ ეკლესიის სამრეკლოები ან ამ პერიოდში აშენებულად უნდა მოვიზიაროთ, ანდა ყარაჯაანთ ეკლესიის სამრეკლოს ქარგით აგებულ მოვიანო ნიშნუბად.

ლიანის თევდორეწმინდა), მცირე ზომის სამლოცველოთა განახლება-მშენებლობაში უკვე ადგილობრივი დიდებულები იყვნენ ჩართულები და ისინი გვევლინებიან ქტიტორებად. სწორედ ისინი არიან გამოსახულნი იგივე ონანაურის ღვთისმშობლის და ხომატიანის ღვთისმშობლის ეკლესიებში. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ამ სამლოცველოთა მოხატულობა ე.წ. ხალხური მხატვრობის ნიმუშებს მიეკუთვნება, მაშინ როცა, სამეფო ოჯახის ქტიტორობით შესრულებული იგივე პერიოდის ნიმუშები უკვე პროფესიონალი ხატმწერების შემოქმედებაა (გრემის, ახალი შუამთის, ნეკრესის ბაზილიკის და სხვა).

კახეთის სამეფოს „მცირე აღორძინების“ განმსაზღვრელი იყო გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები გარესამყაროსთან, განსაკუთრებით კი სპარსეთთან, რასაც ხელს უწყობდა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზები. ამ საერთაშორისო გზის ერთი ხაზი, შემახის გავლით კახეთის ქალაქებზე გადიოდა. სავაჭრო გზის გამართულობა, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ გზის საფარი, არამედ ქარავანთა გასაჩერებელი სადგურ-ფუნდუკები და ასევე გზის უსაფრთხოება, მნიშვნელოვნად განაპირობებდა სავაჭრო გზის ინტენსიურ დატვირთვას და მამასადამე, დიდ შემოსავალს. ამ პერიოდში კახეთის სამეფოს ზრუნვას ამ მიმართულებით ცხადყოფს არა მხოლოდ კახეთის ტერიტორიაზე გამავალი გზის ქარვასლებით აღჭურვა, არამედ გზის კეთილმოწყობაც. სწორედ ამას ემსახურებოდა გრემი-შემახის საქარავნო გზაზე აგებული მაჭისა და კაბალის ქარვასლები და გზის მოგება აგურის ფილებით, რომლის კვალი დაფიქსირებულია სოფ. ხომატიანის სიახლოვესა და გავაზის ნაქალაქართან (ჭილაშვილი 1980: 232-234).

კახეთის სამეფოს ეს მცირე აღორძინება შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად დასრულდა. ამ პროცესებისა და მოგვიანებით ლეკიანობის შედეგად ლაგოდეხის ნაწილი დაიცალა და გაუდაბურდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში აქ ჯერ რუსული სამხედრო დასახლება გაჩნდა, რასაც მოყვა რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან გადმოსახლებულთა ახალშენებიც, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისიდან კი დაცარიელებულ მიწებსა და ნასოფლარებზე დასავლეთ საქართველოდან და კახეთის სხვა სოფლებიდან გადმოსულები დასახლდნენ.

ისტორიული ძეგლები

სოფ. განჯალა

სოფელი შედის კაბალის თემში, დასახლებულია აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობით. სოფლის სახელიც მათი მოტანილია. არაა გამორიცხული ეტიმოლოგიურად ქალაქ განჯას უკავშირდებოდეს. უფრო ადრეული დასახლების ტოპონიმი ისტორიისთვის უცნობია.

საცდარი დგას სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, შემადლებულ ბორცვზე (კოორდ. 41.862212 46.145287). აშენებული უნდა იყოს განვითარებულ შუა საუკუნეებში, გვიან შუა საუკუნეებში გადაკეთებულია. ეკლესია დარბაზულია. აშენებულია რიყის ქვით. შესასვლელის ორივე მხარეს შიგადაშიგ ჩართულია აგური. საპირეზად შირიმის კვადრებია გამოყენებული. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს უაფსიდოა. საკურთხევლის აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელია გაჭრილი. ტაძარს სხმული კამარა აქვს. დახურული იყო კრამიტით. დაზიანებულია. დაფარულია მცენარეებით (სურ.1).

სოფ. გურგენიანი

მდებარეობს კავკასიონის ძირითად ქედსა და მის განშტოება თელას ქედის ძირში. შექმნილია ძირითადად დასავლეთ საქართველოდან გადმოსული მოსახლეობით. ტოპონიმი ახალწარმოქმნილია და წარმომავლობა/კუთვნილების აღმნიშვნელია.

ციხე-სახლი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ კიდეში, კავკასიონის სამხრეთის განშტოება თელას ქედის აღმოსავლეთი კალთის ძირში (კოორდ. 41.852439 46.204171). უნდა ყოფილიყო გვიან შუა საუკუნეების ციხე-სახლი, რომელიც ნაგები იყო ნატეხი ქვით დულაბზე. მართკუთხა ნაგებობა (29×16 მ) შედგებოდა ორი არათანაბარი ნაწილისგან. აღმოსავლეთი ნაწილის აღმოსავლეთის კედელში გარედან დიდი ზომის ნიშ-სამალავია მოწყობილი. ციხე შემორჩენილია ნანგრევების სახით. უკეთ იკითხება ჩრდილოეთის კედელი, რომელიც 2 მეტრამდე სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნანგრევები მცენარეებითა და ეკალ-ბარდებითაა დაფარული.

ეკლესია (წმინდა გიორგი)¹⁴ მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ კიდეში, კავკასიონის სამხრეთის განშტოება თელას ქედის აღმოსავლეთი კალთის ძირში (კოორდ. 41.852550 46.203820). მისკენ მიმავალი გზის პირას, ტაძრიდან 200 მეტრში ზემოაღწერილი ციხე-სახლის ნაშთია.

ტაძრის შესახებ ისტორიული ცნობები არ არსებობს. სტილისტური ნიშნებით თუ ვიზუალურად, განვითარებულ შუა საუკუნეებში, ერთიანი სამეფოს არსებობის დროს უნდა იყოს აგებული. მოგვიანებით, როგორც ჩანს, დანგრეულა და კახეთის სამეფოს მესვეურთ XVI ს. II ნახევარში აღუდგენიათ და სამრეკლოც აუშენებიათ.

ტაძარი ნაგებია ნატეხი ქვით დუღაბზე. აღდგენილია აგურით. დარბაზული ნაგებობაა ჩაწერილი ნახევარწრიული აფსიდით და სამხრეთის მინაშენით (10.5x10.5 მ). შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. აღდგენის დროს კამარა გადაუყვანიათ აგურით. კამარა საკმაოდ მასიურ თაღზეა დაბჯენილი, რომელიც კრონშტეინზე იყო დაყრდნობილი. სამხრეთის მინაშენს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს, რომლის ღერძზე ერთი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთის კედელი თაღით იყო გახსნილი, რომელიც მოგვიანებით ამოუშენებიათ და პატარა თაღოვანი სარკმელი დაუტანებიათ (შესაძლოა ეს ტაძრის განახლების და სამრეკლოს მიშენების დროს მომხდარიყო). თაღის ამოშენების შემდეგ, მინაშენში მოხვედრა მხოლოდ ტაძრის ნაოსიდან იყო შესაძლებელი. ტაძრის აღდგენისას მისთვის სამხრეთიდან მიუდგამთ ორსართულიანი აგურის სამრეკლო (5x5 მ). პირველი სართული სამივე მხრივ თაღებით იყო გახსნილი და კარიბჭის როლს ასრულებდა. მეორე სართული არ შემორჩა. ტაძარი გადახურული იყო ღარიანი და ბრტყელი კრამიტით. ამჟამად ტაძარი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი (სურ.2).

სოფ. ვარდისუბანი

მდებარეობს გაშლილ ველზე. შეიქმნა რუსეთის იმპერიის დროს ჩამოსახლებული კოლონისტებით. სოფლის თავდაპირველი სახელი - ვორონცოვკაც - ამ პროცესთან იყო დაკავშირებული. ამ პერიოდში აშენდა სოფელში ეკლესიაც გოთიკურ სტილში. XXI საუკუნიდან სოფელს სახელი შეეცვალა და ვარდისუბანი ეწოდა.

14 ძეგლების ძირითად სახელად გამოტანილია ან ისტორიული სახელწოდება, ან, ასეთის არცოდნის შემთხვევაში, ზოგადი სახელწოდება. ფრჩხილებში კი ის სახელობა, რომლითაც ეკლესია დღევანდელ მოსახლეობაშია ცნობილი.

გვიან შუა საუკუნეებში 1880-იან წლებამდეც კი სოფლის მიდამოები ჭიაურის მოურავთა - ჩოლოყაშვილთა მიწებში შედიოდა (ჯანაშვილი 1883: 3). მათი მოღვაწეობის კვალი უნდა იყოს სოფელში შემორჩენილი დარბაზული ეკლესიის ნანგრევი მინაშენით.

ეკლესია დგას სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში (კოორდ. 41.765912 46.149052). აგებული უნდა იყოს გვიან შუა საუკუნეებში. დარბაზული ტიპის ნაგებობაა, აშენებულია ნატეხი და რიყის ქვითა და აგურით ღულაბზე. ნაოთხალიანი კარი დასავლეთიდან აქვს. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მაღალი სარკმელია გაჭრილი, რომელიც მოგვიანებით ქვემოდან დაუმოკლებიათ. სარკმელი ქონია სამხრეთ კედელშიც. ნახევარწრიული აფსიდა მხრითაა გამოყოფილი ნაოსისგან. საკურთხეველს ნიშები არ გააჩნია. საკურთხევლის წინ კანკელის ფრაგმენტია შერჩენილი. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. საერთოდ არაა შემორჩენილი კონქი და კამარა და კედლების ზედა ნაწილები. დასავლეთიდან ასეთივე მასალით ნაგები მინაშენი ქონია, რომელსაც სამივე კედელში აქვს შესასვლელი დიობი. როგორც ჩანს, კარიბჭე ან კარიბჭე-სამრეკლო უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ ლაგოდების სხვა ძეგლებზე მიშენებული სამრეკლოების სტილისტიკას და პერიოდს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეკლესიაზეც XVI-XVII სს. უნდა გაეკეთებინათ მინაშენი (სურ.3).

ეკლესია (ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია). დგას სოფელ ვარდისუბანში (კოორდ. 41.77124986 46.1467582). აგებულია XX ს. დასაწყისში გოთურ სტილში. ქართული არქიტექტურისთვის ერთგვარად უჩვეულო სტილის გამო, ის კირხედ (გერმანულ ეკლესიად) მოიაზრებოდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საარქივო მასალებით ლაგოდებში გერმანელთა განსახლება არ ფიქსირდება¹⁵, ეკლესიის გერმანულ სალოცავად მიჩნევაც ისტორიულ საფუძველს მოკლებულია.

როგორც აღინიშნა, ტაძარი გოთურ სტილში აგებული კუბულჭალეს ტიპისაა. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. აღმოსავლეთით შვერილი ხუთწახნაგა აფსიდია, რომელიც ფართო და თაღოვანი ორი სარკმლითაა განათებული. საკურთხევლის ორივე მხარეს

¹⁵ გერმანულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით იხილეთ: თათარაშვილი ნ. გერმანული დასახლებები და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში. თბ., 2018.

პასტოფორიუმებია, რომლებშიც შესასვლელი ტაძრის გვერდითა მკლავებიდანაა. თითოეულ პასტოფორიუმს საკურთხევლის მსგავსი თითო სარკმელი აქვს. სამხრეთის და ჩრდილოეთის ფრთებზე სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული სამ-სამი ფართო და თაღოვანი სარკმელია. ასეთივე თითო სარკმელია დასავლეთის ფრთის ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში. ტაძრის ოთხწახნაგა გუმბათი 12 მაღალი და თაღოვანი სარკმლითაა განათებული და პირამიდულად დასრულებული.

შესასვლელზე კარიბჭა მიშენებული, რომელშიც რამდენიმე საფეხურიანი კიბე ადის. სტოას სამივე მხარე თაღებითაა გახსნილი.

ტაძარს სამხრეთიდან მიდგმული აქვს სამსართულიანი სამრეკლო. შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს, თუმცა შიდა კარით დაკავშირებულია ტაძართანაც. პირველი და მეორე სართული დახურულია: პირველ სართულს მხოლოდ კარი აქვს, მეორეს კი მხოლოდ ერთი სარკმელი. მესამე სართული რვა სვეტზე გადასული თაღებითაა გახსნილი. სამრეკლოს აღმოსავლეთის მხრიდან ფანჩატურის ტიპის შესასვლელი აქვს მიშენებული (სურ.4).

ტაძრისა და სამრეკლოს ფასადები სადა გაფორმებას ქმნის დადაბლებულ არეში ჩასმული თაღები და სარკმლის ჭრილები და ფასადების ფრონტონისებურ დაბოლოებებში დეკორატიული ნაჭდევები.

სოფ. თელა

მდებარეობს კავკასიონის განშტოება ქედის - თელას სამხრეთით. სოფლის პირველი სახელი დიდთელა იყო და ის, როგორც ჩანს, უნდა უკავშირდებოდეს მასთან გაწოლილ ქედზე გავრცელებულ თელიანს. XVI საუკუნეში მის და მის გარშემო მდებარე სოფლების ტერიტორიაზე გაშლილი უნდა ყოფილიყო სასოფლო თემი - ბარაუნთას ქვეყანა, რამდენიმე სოფლითა და უბნით. მათგან ვიცით სოფელი გაღნოტი და წმ გიორგის ეკლესიის უბანი. XVI ს. ქართულ ისტორიულ საბუთების მიხედვით ბარაუნთას ქვეყანაში რამდენიმე ათეულ კომლს უცხოვრია და მათ შორის ყოფილან: იანბერაძენი, ჯანაანნი, ყურეჩითელაანი, ცუგაანი, ბაზიერნი, გენგასძენი, ჩხუპიანნი, მთავარაანი, პავლაანი, ყიზილაანი, შურიანნი. ამავე სიგელებით ბარაუნთა 1537 წლიდან სვეტიცხოვლის ტაძრის კუთვნილი მიწა ყოფილა, როგორც კახეთის

მეფე ავ-გიორგის სააღაპო თემი. მომდევნო საუკუნიდან ბარაუნთა არც ერთ ქართულ ისტორიულ წყაროში აღარ ჩნდება. როგორც ჩანს, ის ირანის შაჰის, აბას I-ის 1614-1617 ლაშქრობებს უნდა შეწირვოდა (დიღმელაშვილი 2020).

მთავარანგელოზთა სახელობის სამონასტრო კომპლექსი¹⁶
მდებარეობს სოფელ თელას ჩრდილოეთით 2.5 კმ-ზე (კოორდ. 41.814522, 46.156185), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთის განშტოება თელას ქედის კეხზე. 1579 წლის ქართულ ისტორიულ საბუთში დაცული ცნობის მიხედვით ბარაუნთას თემში მდებარე ეს კომპლექსი სახელობა დავიწყებულია და უბრალოდ ხატისკარად იწოდება. ამავე საბუთით, ის ალექსანდრე II კახთა მეფეს სვეტიცხოვლისთვის შეუწირავს. 1598 წ. საბუთით კი ჩანს, რომ მონასტერი 1598 წლის წინა ხანებში ხელახლა უკურთხებიან მთავარანგელოზთა სახელზე. კომპლექსის ბაზილიკაში აღმოჩენილი საამშენებლო წარწერით¹⁷ ვიგებთ, რომ ამ ხელახლა კურთხევას წინ უძღვოდა მონასტრის ბაზილიკის განახლება 1574-1594 წლებში კახეთის მეფე ალექსანდრე II-ისა და დედოფალ თინათინის მიერ: „წ. იბაკოი, ზეცისა ძალთა უხორცოთა მთავარნო, მიქაელ და გაბრიელ, დაგუიფარენ საფარველთა ფრთეთა თქუენტასა მორწმუნე მეფე ალექსანდრე და თანამეცხედრე მისი დედოფალი თინათინ. წ. ჩუენ, ღმრთივ გვირგვინოსანმან, მეფეთმეფემან ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალმან თინათინ აღვაშენეთ ...ი მეორედ...“ (ხარშილაძე 2014: 159-167; დიღმელაშვილი 2020).

ამჟამად კომპლექსი დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული ნაწილები. კომპლექსის მეტ-ნაკლებად სრული აღწერა შესაძლებელი ხდება 1947 წელს გაკეთებული ანაზომებისა და ფოტომასალის საფუძველზე, როცა კომპლექსის ნაგებობების კონტურები ჯერ კიდევ იკითხებოდა.

კომპლექსი ხელოვნური თხრილითაა შემოზღუდული, რაც მისი თავდაცვის სისტემის ნაწილს წარმოადგენდა¹⁸. შედგება ბაზილიკის, მასზე დაშენებული კოშკის და ეკვდერისგან.

16 მოსახლეობა მასში შემავალ ნაგებობებს წმ. გიორგისა და წმ. მარიამის სახელობის ეკლესიებად იხსენიებს.

17 წარწერა დაცულია ლავროვის ისტორიულ მუზეუმში.

18 სამონასტრო კომპლექსის სათავდაცვო თხრილით დაცვა დაფიქსირებულია ასევე ალავერდის მონასტერშიც.

ა) ბაზილიკა ადრეული შუა საუკუნეების ე.წ. „სამეკლესიანი“¹⁹ ნაგებობაა დასავლეთის გარშემოსავლელით. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის ეკლესია და დასავლეთის გარშემოსავლელის ჩრდილოეთის ნაწილი (სიგრძე 11.5 მ-ია, სიგანე 12 მეტრამდე უნდა ყოფილიყო). ბაზილიკა ნაგები იყო ნატეხი ქვით დულაბზე. კედლების ფასადები ქვების გადაბმის ადგილას შებათქაშებული ყოფილა. ჩრდილოეთის ეკლესიას ცალფერდა სახურავი აქვს. ჩრდილოეთ ეკლესიაში მოხვედრა მხოლოდ დასავლეთის გარშემოსავლელიდან იყო შესაძლებელი. ნავის აღმოსავლეთ ნაწილში დამოუკიდებელი პასტოფორიუმი, რომელშიც შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. კარი სწორკუთხაა. პასტოფორიუმი უაფსიდოა და კამარითაა დასრულებული. აღმოსავლეთი კედლის შუაში შიგნით წირთხლებგაშლილი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. კამარითაა გადახურული ნავის დასავლეთი ნაწილიც, რომელიც განახლების დროს დასავლეთიდან ამოუშენებიათ. დასავლეთ ნაწილში საძვალეა გამართული (განძთ მაძიებლების მიერ გადათხრილი ინტერიერში კარგად ჩანს ეკლესიის სამშენებლო ქვითვე ნაგები აკლდამის კედლების ფრაგმენტები). ჩრდილოეთის ეკლესიის ორივე ნაწილი შიგნიდან შელესილი ყოფილა. როგორ იყო გადაწყვეტილი ბაზილიკის ცენტრალური და სამხრეთი ეკლესიები, გათხრების გარეშე თქმა შეუძლებელია. ერთადერთი რისი აღნიშვნაც შეიძლება, არის ის, რომ სამხრეთის ეკლესიაც ასევე ორნაწილიანი ყოფილა: აღმოსავლეთი ნაწილი კედლით ყოფილა გამოყოფილი დასავლეთისგან. დასავლეთის გარშემოსავლელი მოგვიანებით გადაკეთებულია: ჩრდილოეთის ნაწილი ამოუშენებიათ და მეორე სართული დაუდგამთ. შედეგად მივიღეთ ორსართულიანი კოშკი. მის პირველ სართულზე მოხვედრა სამხრეთის ამოშენებულ კედელში დატანებული თაღოვანი კარიდანაა შესაძლებელი. კამარის დასავლეთ ნაწილში ხვრელია დატოვებული მეორე სართულზე ასასვლელად. მეორე სართულს ჩრდილოეთ კედელში წყვილი სწორკუთხა სარკმელი აქვს. სართული კამარითაა დასრულებული, ხოლო კოშკი ორფერდა სახურავით. განსხვავებით ეკლესიისგან, კოშკი შიგნიდან მხოლოდ ნაწილობრივია შელესილი (სურ.5-8).

19 სამეკლესიანი ბაზილიკა იგივე სამნავიანი ბაზილიკაა, იმ განსხვავებით, რომ გვერდითა ნაგები სვეტებით კი არა კედლებითაა გამოიხნული ცენტრალურისგან. ტერმინი ხელოვნებათმცოდნე გიორგი ჩუბინაშვილის დამკვიდრებულია.

ბ) მცირე სამლოცველო „სამეკლესიანი ბაზილიკიდან“ სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 მეტრში დგას. აგებული უნდა იყოს სამეკლესიანი ბაზილიკის თანადროულად ნატეხი ქვით დულაბზე. დანგრეულია. ამჟამად ნაწილობრივ შემორჩენილია ჩრდილოეთის ეკლესია (3.6x4.5 მ). აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი აქვს ნაოსისგან

მხრით გამოყოფილი, რომელზეც უნდა გადასულიყო კონქის საყრდენი თაღი. აფსიდის ღერძზე სარკმელი იყო გაჭრილი. მის სამხრეთ მხარეს სწორკუთხა ნიშაა. დანარჩენ კედლებში შესასვლელებია გაკეთებული. მათგან დასავლეთის შესასვლელი ნალისებური თაღითაა შიგნიდან დასრულებული. გადახურული ყოფილა კამარით. ინტერიერში, მთელს ფართობზე, კრიპტაა მოწყობილი, რომლის კამაროვანი გადახურვა ახლა დაზიანებულია შავი არქეოლოგების მიერ. მის სამლოცველოს სამხრეთ ნაწილზე, არქეოლოგიური გათხრების გარეშე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან თაღით ყოფილა გახსნილი, რომლებიც ჩრდილოეთის ფეხით ეკვდერის სამხრეთ კედელზე ერთგვარი კრონშტეინების საშუალებით ყოფილა დაყრდნობილი. როგორც ჩანს, აქ საქმე უნდა გვექონდეს საძვალეზე აგებულ სამლოცველო-ეკვდერთან სამხრეთის გალერეით (სურ.9).

ციხე მდებარეობს სოფ. თელას ჩრდილოეთით 1.5 მ-ში, თელას ქედის სამხრეთ კალთაზე (კოორდ. 41.817140 46.148240). აგებული უნდა იყოს ადრეულ შუა საუკუნეებში. ძლიერ დანგრეული და ტყითაა დაფარული, რის გამოც ციხის სრული მასშტაბების აღდგენა არ ხერხდება. უკეთ არის შემორჩენილი კარიბჭის მონაკვეთი (დაახ. 40 მ სიგრძეზე), რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზეა დამხრობილი. ციხე ნაგებია ადგილობრივი ნატეხი ქვით საკმაოდ მკვრივ კირ-დულაბზე. წყობა ჰორიზონტალურია. კედლების სისქე საშუალოდ 2 მეტრია. 2:3 მ სიგანის კარიბჭე ორ სწორკუთხა გოდოლს შორისაა მოქცეული (თითოეულის შიდა ფართობი დაახლოებით 30 კვ-ია). კოშკები გალავნის კედლიდან სამხრეთით 6 მეტრითაა გაწეული. ისინი რამდენიმე სართულიანია. სართულშორისი გადახურვა ხის ძელების ყოფილა, რომლის სამაგრი ფოსოები კედლებში კარგად იკითხება (სურ.10).

ციხის ამ მონაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 800 მეტრში ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაგებობათა ნაშთებია,

რომლებიც ხასიათდება ასევე ნატეხი ქვით დუღაბზე ნაგები მეტრაზე სქელი კედლებით. სამწუხაროდ, არქეოლოგიური გათხრების გარეშე, მათ ფუნქციასა და თარიღზე საუბარი არ ხერხდება, ისევე როგორც არაფერი შეგვიძლია ვთქვათ რა კავშირი ქონდათ მათ ციხესთან.

სოფ. კაბალი

გაშენებულია მდ. კაბალის (ვახუშტისეული ნეინის წყლის) ორივე ნაპირზე. დასახლებულია აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობით.

XVIII ს. აქ მდებარეობდა სოფელი კართუბანი, რომელიც ლეკიანობის დროს დაცლილა. კაბალის ისტორიის მასწავლებლის ა. გასანოვის მიხედვით, XIX საუკუნეში, რუსეთ-დაღესტნის ომის დროს, კართუბნის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელები ჩამოვიდნენ, რომლებმაც თავად ჩოლოყაშვილის მიწები იჯარით აიღეს და აქედან წარმოდგა დასახლების ახალი სახელწოდებაც - კაბალი, რაც რუსულად იჯარას ნიშნავს (გასანოვი 1960: 4).

კაბალისა და მის შემოგარენში რომ დასახლებები ადრეული შუა საუკუნეებიდან არსებობდა, ამაზე აქ შემორჩენილი ნასახლარები და ძეგლებიც მეტყველებს. 1889 წ. გაზეთი ივერია იწერებოდა, რომ მდ. კაბლის ხეობა სავსე იყო ნასოფლარებით და ეკლესიებით. განსაკუთრებით კი მსხალგორის ქედის შეყოლებაზე (კახელი 1889: 2). ამ ნასოფლარების სიმრავლე, რომლებიც გვიანი შუა საუკუნეების უნდა ყოფილიყო, ალბათ, გამოწვეული იყო იმით, რომ დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე გადიოდა ისტორიული საქარავნო გზა გრემიდან შემახამდე. თუმცა, კაბლის ხეობის უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში დასახლებასა და მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მის მარჯვენა შენაკადის - ლაკოს ხეობაში ხერთვისიდან 1 კმ-ის სიღრმეში, მთის კონცხზე შემორჩენილია დაახლოებით 300 კვმ-დე ფართობის ციხის ნაშთები, რომლის ფუნქციაც ხეობის კონტროლი უნდა ყოფილიყო. ხეობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული განვითარებულ შუა საუკუნეებშიც, რაზეც მდინარის მარცხენა მხარეს, კაბალისა და მსხალგორის თავზე შემორჩენილი ეკლესიაც მეტყველებს.

ქარვასლა-ფუნდუკი დროებით გასაჩერებელი ნაგებობა გახლდათ, რომელსაც აგებდნენ როგორც ქალაქის სავაჭრო უბნებში,

ისე გზებზე. მათი სიდიდე და გადაწყვეტა დამოკიდებული იყო მდებარეობის ადგილზე. მაგ. ქალაქში მდებარე ქარვასლა-ფუნდუკები გაცილებით დიდი და მრავალნაწილიანი იყო, გზებზე მდებარე ქარვასლის სიდიდეს კი განსაზღვრავდა გზის დანიშნულება და მისი დატვირთვის სიხშირე. კახეთის ტერიტორიაზე დღეისთვის ცნობილია გრემის, მაჭის და კაბალის ქარვასლები. მათგან გრემის ქარვასლა ქალაქის სავაჭრო უბანში იდგა და ის ქულბაქებთან - სავაჭრო დახლებთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, ის სიდიდითაც გამორჩეულია (ზაქარაია 1996: 5-11; ჭილაშვილი 1980: 46-56). კაბალის და მაჭის ქარვასლა კი ისტორიულ გრემი-შემანის საქარავნო გზაზე იყო აგებული, რომელიც XVIII საუკუნემდე მოქმედებდა და კახეთის სამეფოს აღმოსავლეთთან მაკავშირებელ უმთავრეს საქარავნო გზას წარმოადგენდა. ამ გზის მოშლის შემდეგ, აღნიშნულმა ქარვასლებმა ფუნქცია დაკარგეს და ისინი სათავდაცვო ნაგებობებად იქცნენ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ ნაქარვასლარებს ციხეებად ასახელებს (ვახუშტი 1973: 543). მათგან კაბალის ქარვასლას კართუბნის ციხეს უწოდებს. ასევე კაბალის ციხეს უწოდებს მას ა. გასანოვიც, რომლის მიხედვითაც, „შემოსული მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად მოსახლეობას შარაგზიდან 50 მეტრის დაშორებით მეორედ აუშენებია კართუბნის ციხე-სიმაგრე“ (გასანოვი 1960: 4).

კაბალის ქარვასლა, რომელიც სოფ. კაბალის მთავარი საავტომობილო გზის ჩრდილოეთით 50 მეტრში მდებარეობს (კოორდ. 41.845161 46.127123), XVI-XVII სს. თარიღდება. ნაგებია რიყის ქვით დულაბზე. წარმოადგენს სწორკუთხა გალავანს, რომელიც კუთხეებსა და კედლების შუაში თითო ნახევარწრიული კონტრფორსითაა გამაგრებული. შესასვლელი დასასვლელიდან აქვს. კარის ორივე მხარეს ნახევარწრიული კონტრფორსია, რომლებსაც ჰორიზონტალურად ორ რიგად მთელ სიგრძეზე ფოსოები გასდევს. გალავნის კედლის ზედა ნაწილს სარბენი ბილიკი შემოსდევდა, ხოლო კედლებში სათოფურები იყო დატანებული. გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში სწორკუთხა სათავსოს ნაშთია შემორჩენილი. ქარვასლა დაზიანებულია, ნაწილობრივ დანგრეული (სურ.11).

ქ. ლაგოდეხი

ამ სახელის ტოპონიმი ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველად 1010-1014 წწ. დათარიღებულ მელქისედეკ კათოლიკოსის სვეტიცხოვლისადმი დაწერილ ანდერძში ჩნდება, სადაც ნათქვამია, რომ კათოლიკოსმა სვეტიცხოვლისთვის ჰერეთში, ლაგოდეხს დიდი ძალისხმევით მოიპოვა მონასტერი (ქართ. ისტ. საბ. კორპ. 1984: 26). ლაგოდეხი საკათალიკოსო სახასოდ რჩება XVIII საუკუნემდე. XVIII ს. ისტორიკოსის იოანე ბაგრატიონის ცნობით ლაგოდეხი, გაღმა მხრის დასახლებული პუნქტია (იოანე ბაგრატიონი 1986: 71). ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, კი ლაგოეთი, იგივე ლაგოდეხი მაჭის წყლის დასავლეთით ველზე მდებარე ციხე იყო, რომელიც არჩილ მეფეს აუგია და მის დროს უკვე აოხრებული და მიტოვებული იყო (ვახუშტი 1973: 543). ვახუშტის მიერ დასახლებული ოდესღაც მაგარი და დიდშენი ციხის ნაშთები დღეს ლაგოდეხის ცენტრალურ ნაწილში, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებშია ჩართული. XX ს. 50-იანი წლებისთვის ჯერ კიდევ იკითხებოდა კედლების ისეთი კონსტრუქციები, რომლითაც შეგვიძლია მის ფორმაზე და დანიშნულებაზე მსჯელობა. ციხე ყოფილა XVII-XVIII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი გეგმით სწორკუთხა გალავანი, კუთხეებში ჩართული ოთხი კოშკით. მისი ფუნქცია მტრის შემოსევის დროს მოსახლეობის შეფარება და დაცვა იყო.

ბუნებრივია, ციხის ასეთი კონფიგურაცია და ველზე მდებარეობა აძნელებს მის დაკავშირებას არჩილ მეფის მიერ დაარსებულ ლაკუასტის ციხესთან.

არჩილის მიერ დაარსებული ლაკოსტის ციხისა და გვიანი შუა საუკუნეების ლაგოდეხის იგივეობის საკითხს აძნელებს ისიც, რომ დღევანდელი ლაგოდეხის ტერიტორიაზე ასეთი ადრეული ნაგებობის კვალი არსად ჩანს. თუმცა, ლაგოდეხის ქოჩალოს ეკლესიაზე აღმოჩენილი საამშენებლო წარწერა, შესაძლოა, ვახუშტის ინფორმაციის სისწორეს ადასტურებდეს. ყოველ შემთხვევაში, ქოჩალოს ეკლესია უნდა იყოს ის მონასტერი, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ I-მა სვეტიცხოვლის ტაძრისთვის ლაგოდეხს შეიძინა დიდძალი საქონეებით (ქართ. ისტ. საბ. კორპ. 1984: 26) და აქედან მოყოლებული XVIII საუკუნემდე მის საკუთრებას წარმოადგენდა.

ამავ უდროს, თუ ლაგოდენის ტოპონიმთან დაკავშირებით ენობრივ მონაცემებს გავითვალისწინებთ, რომლის მიხედვითაც ლაკო/ლაკუ/ლაგო ლაგოეთის ფუძის უძველესი მსაზღვრელია, ხოლო ლაგოეთიდან წარმომობილია ლაგოდენი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ არჩილ მეფისეული ლაკუასტის ციხე დღევანდელი ლაგოდენის შემოგარენში აშენებული ციხის არქაული სახელია. საინტერესოა, რომ ლაგოდენის ლაკუასტიდან და ლაგოეთიდან მომდინარეობის საკითხი ეჭვის ქვეშ არ დგას 1884 წ. მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილში, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ დღევანდელი ლაგოდენი ცოტა უფრო ადრე ლაგოეთად, უფრო ძველად კი ლაკუასტად იწოდებოდაო (ჯანაშვილი 1884: 1). არჩილ მეფისეულ ლაკუასტისა და ლაგოდენის იგივეობაზე პირდაპირ მიუთითებდა ისტორიკოსი მ. ჯანაშვილიც: „დასაბამი მასა აქვს კახეთის მეფის არჩილისაგან. „ლაგოეთი“ მოინათლა (შემდეგში) ლაგოდენად“ (ჯანაშვილი 1883: 3).

და ბოლოს, ლაკუასტის ლოკალიზაციისთვის საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტორი: ერთი ესაა მაჩხალროსოს უდელტენილიდან ქოჩალოს ქედის გავლით დღევანდელ ლაგოდენში ჩამომავალი ე.წ. „ცხვრის გზა“, რომლითაც XX საუკუნემდე სარგებლობდნენ ლეკები და რომლითაც ცხვარი გადმოყავდათ კახეთის საძოვრებზე და მეორე ესაა ლეკისწყლის ხეობიდან ნინიგორის ქედზე გადომავალი გზა, რომლიდანაც ველზე მოხვედრა შეიძლებოდა როგორც ლაგოდენის, ისე გურგენიანის მხრიდან. ამდენად, დღევანდელი ლაგოდენი, ერთგვარად დაღესტანში გადასასვლელი ორი გზის შესაყარს წარმოადგენდა ალაზნის ველზე. თუ კი არჩილ მეფის ჰერეთში მოღვაწეობა გულისხმობდა ჰერეთის ბარისა და მთის ურთიერთობის მოწესრიგებას (რაც წყაროებიდან წუქეთთან მიმართებაში აშკარად ჩანს), მაშინ მას არც აღნიშნული გზების კონტროლი უნდა გამორჩენოდა მხედველობიდან.

ლაგოდენი XVIII ს. ბოლომდე დასახლებულ პუნქტად იხსენიება იოანე ბაგრატიონთან. თუმცა, როგორც ჩანს, მოსახლეობა აქ ძლიერ შემცირებულია.

XIX ს. 30-იან წლებში დაცარიელებულ ლაგოდენში სამეფო ხელისუფლების ბრძანებით გადმოასახლეს რუსები და 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების მონაწილეები. XIX ს. 50-იან წლებში ლაგოდენში ასახლებენ რუსეთის არმიის გადამდგარ ჯარისკაცებს,

რომლებმაც მალე ლაგოდეხის მიწები აითვისეს და მეურნეობასაც მიყვეს ხელი. იმავე საუკუნის 70-იან წლებში ლაგოდეხში უკვე ცხოვრობენ სომხები და ბოდბისხეველი გლეხები (ნაკაშიძე 1905: 2-3), თუმცა, რუსები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ 1884 წლისთვისაც. მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილის ცნობით, ამ დროისთვის ლაგოდეხში მხოლოდ 29 ქართველი ცხოვრობდა (ჯანაშვილი 1884: 1).

ლაგოდეხის მონასტერი (ქოჩალოს ბაზილიკა) დგას ლაგოდეხის ჩრდილოეთით, მდ. ლაგოდეხისხევის მარცხენა ნაპირზე, კავკასიონის ქედის განშტოება - ქოჩალოს ფერდზე (კოორდ. 41.836200 46.286091). სახელი „ქოჩალო“ ასევე აზერბაიჯანული წარმოშობის სიტყვადაა მიჩნეული და მისი გაჩენა კახეთში აზერბაიჯანული თემების ჩამოსახლებათანაა დაკავშირებული. თუმცა, სიტყვა „ქოჩი“ ძველ ქართულ ხელნაწერებშიც გვხვდება და ის სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით განიმარტება როგორც ბუჩქი, შებარდული ხე, მაყვლის ბუჩქი (ღლონტი 1981: 13; სულხან-საბა 1993: 233). არაა გამორიცხული, რომ სახელწოდება ქოჩალოც ქართული ძირიდან მოდიოდეს. ტაძრის დღევანდელი სახელიც ქედის სახელიდან მოდის, რომელიც XX ს. გაჩენილი სახელწოდება უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, 1884 წ. მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილისთვის მისი სახელი უცნობია და მხოლოდ პატარა ეკლესიის სახელით იხსენიებს, ისევე როგორც ქოჩალოს არ იხსენიებს ტაძრის მდებარეობის ადგილადაც (ჯანაშვილი 1884: 1). ამავე პერიოდისთვის ტაძარი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დაუზიანებელი იყო, რადგან იგივე დიმიტრი ჯანაშვილის ცნობით, ის ქართველ და რუს მოსახლეობას ერთობლივად გაუსუფთავებია და სალოცავად იყენებდა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მღვდელი უთითებს, რომ ეკლესიას ხუცური წარწერა ქონდა, რომელიც ჯერ არავის ამოუკითხა (ჯანაშვილი 1884: 1). 1890 წლის ივერია უკვე იუწყებოდა, რომ ლაგოდეხის მთის სერზედ მდგარი ეკლესიის, მოსახლეობისთვის ცნობილი, ქართული წარწერა სადღაც გამქრალიყო და ვინ, რატომ და სად წაიღო, არავინ იცისო (ივერია 1890: 1). დროებასა და ივერიაში მოცემული ცნობა სწორედ იმ წარწერას უნდა ეხებოდეს, რომელიც უკვე სანახევროდ დანგრეული ეკლესიის გაწმენდისას 2019 წელს აღმოჩნდა სამხრეთ შესასვლელთან.

ტადარი VI-VII საუკუნეებშია აგებული (ელიზბარაშვილი 2001: 66-73). ის, რომ ტადარი X ს. ბოლოს მონასტერია, მოწმობს ტადრის სამხრეთი კარის არქიტრავის ასომთავრული წარწერა, რომელიც 2019 წ. ტადრის ნაშალ ფენაში აღმოჩნდა. XI ს. დასაწყისში შესრულებული წარწერა იხსენიებს ჰერეთის მეფე ადარნასეს, დედოფალ დინარს, მეფე აბლას (აბულარს) და ერისთავთ-ერისთავ ბაქარს და ყვება, რომ რომელიღაც მოხელის შვილმა ეკლესიას უყიდა და შეწირა ხანასი ქალამაჩის უბანი²⁰. ტადრის გარშემო აღმოჩენილი სამარხები და კერამიკული ნაწარმი მოწმობს, რომ ტადარს განვითარებული შუა საუკუნეების ბოლომდე უარსებია. თუ გავითვალისწინებთ ერთი მხრივ ეპიგრაფიკულ მონაცემს, მეორეს მხრივ კი ქართლის კათოლიკოს მელქისედეკ I-ის 1010-1014 წწ. საბუთს სვეტიცხოვლის ტადრისადმი დაწერილს, რომლითაც ვიგებთ, რომ კათოლიკოსს სვეტიცხოვლის ტადრისთვის დიდ ფასად თუ დიდის ძალისხმევით უყიდა და შეუწირავს ლაგოდეხში არსებული მონასტერი (ქართ. ისტ. საბ. კორპ. 1984: 24), არაა გამორიცხული, რომ მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლისადმი შეწირული ტადარი სწორედ ქოჩალოს ბაზილიკა ყოფილიყო.

ტადარი, როგორც აღინიშნა, VI-VII საუკუნეების ორნავიანი ბაზილიკაა სამხრეთის გაღერებით. აგებულია ნატეხი და რიყის ქვით დუღაბზე. ტადარში შესასვლელი დასავლეთ და სამხრეთ კედელშია გაჭრილი. სამხრეთის კარი გარედან თაღოვანი ყოფილა, ტიმპანით დასრულებული. ტიმპანის ქვა, რომელზეც ასომთავრული წარწერაა შესრულებული 2019 წელს აღმოჩნდა კედლის ნანგრევში ჩაპირქვავებული. ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით ნალისებრი ჩაწერილი აფსიდითაა დასრულებული, რომლის ღერძზე ერთი მაღალი და თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. საკურთხეველი ნავისგან ორმაგი მხრებითაა გამოყოფილი, რომლის შიდა შვერილზე კამარის საბჯენი თადია გადაყვანილი. საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს, იატაკიდან საკმაოდ მაღლა, თითო მართკუთხა ნიშაა გაკეთებული. აფსიდას იატაკის დონეზე საფეხური შემოსდევს. საკურთხეველი ორი საფეხურითაა შემადლებული. ბემა დაგრძელებულია. ოთხკუთხა ტრაპეზი საკურთხევლის შუაში

20 წარწერის წინასწარული წაკითხვის შინაარსი, რომელიც ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგომიძეს ეკუთვნის, უკვე გამოქვეყნებულია (გაგომიძე 2019: 178-180). თუმცა, სრული წაკითხვის და კვლევის შემდეგ არაა გამორიცხული გარკვეული ცვლილებები შევიდეს მასში.

მდგარა. ტრაპეზის ადგილას, იატაკში სწორკუთხა ჩაღრმავებაა, შესაძლოა, სამარხი იყოს. საკურთველის საფეხურების წინ საწინამძღვრე ჯვრის აღსამართი მრგვალი სვეტის ზეძირკველია შემორჩენილი. ნავი დასრულებული იყო ნახევარწრიული კამარით. ჩრდილოეთის ნავში მოხვედრა მხოლოდ ცენტრალური ნავიდანაა შესაძლებელი. ისინი ერთმანეთისგან დასავლეთის კედელზე, აფსიდის ჩრდილოეთ კედელსა და მასიურ სწორკუთხა ბურჯზე გადასული ორი ნახევარწრიული თაღითაა გაყოფილი. ჩრდილოეთის ნავის ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლები ყრუა, აღმოსავლეთ კედელში ერთი მაღალი და ვიწრო სარკმელია გაჭრილი. ნავი უაფსიდოა, აღმოსავლეთის ნაწილი დანარჩენისგან ქვით ნაშენი ტიხრით ყოფილა გამოყოფილი, რომელიც ტაძრის განახლებისას მთლიანად ამოუშენებიათ და ამდენად, აღმოსავლეთის ნაწილი პასტოფორიუმად უქცევიათ. ნავი ცილინდრული სხმული კამარითაა დასრულებული. ტაძარი თავიდან ნაწილობრივ, ქვების გადაბმის ადგილებში ყოფილა გალესილი. მოგვიანებით, გალესვა ინტერირში განუახლებიათ თუ ტაძარი მთლიანად შეუღესავთ, ამ ეტაპზე ამაზე საუბარი ძნელია.

ტაძარს სამხრეთიდან უაფსიდო ღია გალერეა აქვს, აღმოსავლეთის კედელში დატანებული სწორკუთხა სარკმლით. გალერეა სამხრეთიდან ორ მრგვალ სვეტზე გადასული სამი თაღით იყო გახსნილი. ჰქონია ცილინდრული სხმული კამარა.

გალერეის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე, მოგვიანებით ეკვდერია მიშენებული. ის ნახევარი კორპუსით აღმოსავლეთითაა გაწეული ტაძრიდან. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. აფსიდა ნახევარწრიულია მხრებით გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე სარკმელი იყო გაჭრილი (სურ.12-17).

ტაძარი ამჟამად ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია ცენტრალური ნავისა და სამხრეთი გალერეის კამარა და კედლების ზედა ნაწილი. გარღვეულია ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კედლები, ასევე ნავთა გამყოფი თაღედი. კედლების ქვედა რიგია შემორჩენილი ეკვდერის შემთხვევამდე. ისინი გადახსნილია და დარღვეული.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატის ეკლესია (კოორდ. 41.82360 46.27535) XIX ს. ბოლოსაა აგებული რომანულ სტილში. საქართველოს

გასაბჭოვების შემდეგ ეკლესიას, სხვა ეკლესიათა მსგავსად, გუმბათები მოანგრის, ხოლო თავად ეკლესია ხან კლუბად, ხან საწყობად იყო გამოყენებული.

სამნავიანი ბაზილიკაა, გარეთ განზიდული ხუთწახნაგა აფსიდიტა და მართკუთხა პასტოფორიუმებით. შესასვლელი სამი აქვს: დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებში. აფსიდა სამი, პასტოფორიუმები თითო, გვერდითა ნავები ორ-ორი, ცენტრალური ნავი კი - 16 ფართო, თაღოვანი სარკმლითაა განათებული. ცენტრალური ნავის სარკმლები მორიგეობით ორ და სამ წყვილადაა განაწილებული აღმოსავლეთის და გრძივ კედლებზე. ცენტრალური ნავის აღმოსავლეთი კედელი ჯვრის ფორმის ფრონტონით სრულდება, რომლებზეც თავის დროს ხახვისებრი ფორმის ცრუ გუმბათები იყო დადგმული. ტაძრის ფასადები გაფორმებულია კართა მოჩარჩოებით, პილასტრებითა და კბილანა არშიებით, რომლებიც საფეხუროვან კარნიშებს და მის ქვედა დონეზე შემოსდევს კედლებს. ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით წახნაგოვანი აფსიდიტაა დასრულებული, აფსიდა ორი საფეხურითაა ამალეებული და სატრიუმფო თაღით დასრულებული. პასტოფორიუმები შიდა კარით საკურთხეველს, ხოლო დასავლეთის კარებით გვერდითა ნავებთანაა დაკავშირებული. ნავები ერთმანეთისგან ორ წყვილ სვეტზე გადაყვანილი სხვადასხვა ზომის თაღითაა გაყოფილი, რომლებიც საფეხუროვან კაპიტელებს ეყრდნობა. ინტერიერი ორ-ორი წყვილი სრული და შეკიდული პილასტრებითაა დანაწევრებული, რომლებიც კაპიტელისებრი თავსართებითაა გაფორმებული. როგორც ცენტრალურ ისე, გვერდითა ნავებს სწორი გადახურვა აქვს. დასავლეთის თაღნარს ქვეშ, ტაძრის მთელს სიგანეზე მასიური პატრონიკეა გაკეთებული, რომელზეც ასასვლელი ტაძრის დასავლეთ კედელზე მიდგმული სამრეკლოდანაა.

სამრეკლო სამსართულიანი იყო, მესამე სართული, რომელიც საარქივო მასალის მიხედვით, ფანჩატურს წარმოადგენდა, მორღვეულ იქნა საბჭოთა კავშირის დროს. პირველი სართული კარიბჭეა და აქედანვეა ასასვლელი პატრონიკესა და სამრეკლოს ზედა სართულებზე. მეორე სართული ფართო სარკმლებით განათებული ოთახია. სამრეკლოს ფასადური გაფორმება შედარებით უფრო მდიდრულია. მისი თაღოვანი კარიბჭე აქაც მოჩარჩოებულია. კედლებს კუთხეებში პილასტრები აუყვება. სარკმელთა თაღოვანი

გადახურვა საფეხუროვან კაპიტელებს ეყრდნობა და გაფორმებულია შეისრული არკადით. კედლები დასრულებულია კბილანა არშიებით გაფორმებული პილასტრებითა და კარნიზით (სურ.18-19).

სოფ. ლელიანი

სოფელი მდ. ინაბოტის ნაპირებზეა გაშენებული. სოფლის სახელი ახალი დასახლების თანადროულია, და ის ამ ადგილებში გავრცელებული ლელიანი ადგილებიდან უნდა მოდიოდეს. ისტორიულად აქ და მის გარშემო ტერიტორიაზე (ონანაური, ჭაბუკაური, აფენი) მდებარეობდა არბუხი - სასოფლო თემი/ქვეყანა. მის შესახებ ინფორმაცია წერილობით წყაროებში XVI საუკუნიდან ჩნდება. 1578 წ. ამ სოფლის 17 კომლი ალექსანდრე II კახთა მეფეს ალავერდისთვის შეუწირავს (ხარშილაძე 2014: 25). ამავე მეფის დროს, 1590 წ. არბუხში გაუვლიათ მაჭიდან მომავალ კახეთის სამეფო კარზე მყოფ რუს ელჩებს, რომლებსაც უნახავთ სოფელში მდგარი ძველი და დიდი ეკლესია წმ. თევდორეს სახელობისა (Белокрыов 1889: 195-196). არჩილ მეფის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“-ს თანახმად კი, 1606 წ. სპარსეთიდან მომავალ თეიმურაზ I თავისი ამალით არბუხში ღამე გაუთევია, ხოლო დილით წმ. თევდორეს ეკლესიაში ამა ალავერდელის წირვას დასწრებია (არჩილი, სტრ.273). არბუხი სოფელია XVIII ს. ბოლომდე და ის ნეკრესის მხარის ერთ-ერთ მიწას წარმოადგენდა (იოანე ბაგრატიონი 1980: 71).

წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია (თევდორეწმინდა)

მდებარეობს სოფელ ლელიანის სამხრეთ-დასავლეთით, უბან ბებურიანში, სასაფლაოზე (კოორდ. 41.819299 45.953632).

ისტორიული ცნობები ტაძრის შესახებ ფრაგმენტულია: ვიცით მხოლოდ, რომ 1590 წ. რუსეთის მეფის ელჩები კახეთში მეფე ალექსანდრე მეორის მითითებით ჭიკაურიდან შილდაში გადასვლისას აქ გაჩერებულან. მათივე აღწერით წმინდა თევდორეს ეკლესია მაშინ მონასტერი ყოფილა, ხოლო თავად შენობა დიდი და ძველი (Белокрыов 1889: 195-196). არჩილ მეფის პოემის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“-ს მიხედვით, 1606 წელს ირანიდან კახეთში მობრუნებულ თეიმურაზ I-ს სოფელ არბუხში ღამე გაუთევია და დილით სოფელში მდებარე წმ. თევდორეს ეკლესიაში ულოცია (არჩილი, სტრ.377). ტაძარს ასხენებს ვახუშტი ბატონიშვილიც,

რომელიც მას ძველ და დიდ მონასტრად მოიხსენიებს, თუმცა კი, წმ. თევდორეს ნაცვლად წმ. სტეფანეს უწოდებს.

ძეგლი X-XI საუკუნეებში უნდა აგებულიყო (Чыгинашвили 1959; 193-195,199). XVI ს. მეორე ნახევარში, კახეთის მეფის ალექსანდრე II დროს ის განახლდა და გადაკეთდა.

ეკლესიას გ. ჩუბინაშვილი ე.წ. „სამეკლესიანი ბაზილიკების“ ერთ-ერთი გვიან ნიმუშად მიიჩნევდა, თუმცა, როგორც ჩანს, ის დარბაზული ეკლესიაა სამი მხრიდან მინაშენით (დ. თუმანიშვილის მიხედვით). ტაძარი ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით დუღაბზე, ცენტრალური ნაწილის კედლებში გამოყენებულია უფრო დიდი ზომის რიყის ქვა, ხოლო მინაშენებში უფრო წვრილი. განსხვავებულია დუღაბიც. XVI ს. განახლების დროს თალებში, კამარად, კუთხეებში და ხერხულა კარნიზისთვის აგური გამოუყენებიათ. ცენტრალური ეკლესია მინაშენებთან შედარებით ორჯერ განიერი და მაღალია. შესასვლელი სამია: დასავლეთისა და სამხრეთის გაჭრილია კედლების შუაში, ჩრდილოეთის კარი კი აფსიდის წინაა. ყველა კარი ორივე მხრიდან თაღოვანია. ტაძარს მინაშენების გაკეთებამდე სამხრეთის კედელში ორი, დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში კი თითო გარედან თაღოვანი და შიგნიდან სწორკუთხა სარკმელი ქონია. XVI ს. განახლების დროს ჩრდილოეთის და სამხრეთის სარკმლები მინაშენების გამო გაუქმდა, მათ ნაცვლად კი სამხრეთის კედელზე უკვე გაუქმებული სარკმლების თავზე ორი ასეთივე ფორმის სარკმელი გაიჭრა. აღმოსავლეთით ღრმა ნახევარწრიული აფსიდაა, ფართო მხრებით გამოყოფილი დარბაზისგან. აფსიდის ღერძზე შიგნიდან არქიტრავული, გარედან თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რომლის ორივე მხარეს, კონქის საფეხურის დონეზე, თითო მაღალი თაღოვანი ნიშია მოწყობილი. აფსიდის ჩრდილოეთ კედელში თაღოვანი ნიშია. ტრაპეზი ახლა საკურთხევლის შუაშია მოწყობილი, ისტორიულად კი სარკმლის ქვეშ, კედელთან ყოფილა მიდგმული. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი ქვებით შედგენილი კაპიტელებით დასრულებულ აფსიდის მხრებს ეყრდნობა. სატრიუმფო თაღი აგურის ხერხულა კარნიზითაა დასრულებული, რომლის თავზე შუაში სამალავია მოწყობილი. თაღის გვერდებში რეზონატორებია გაკეთებული. კამარა და მისი საყრდენი ორი შეკიდული თაღი XVI საუკუნისაა და შესაბამისად, ისინი შეისრულია. XVI ს. მეორე ნახევარში ტაძრის

ადღენის დროს, ტაძარი ქვისა და აგურის თაღოვანი კანკელით შეუმკიათ (Шмерлинг 1962: 208). ეს კანკელი ტაძარს XX ს. შუა ხანებამდე შემორჩა, შემდეგ კი მოშალეს და მის ნაცვლად რუსულ სტილზე გაწყობილი ხის კანკელი გაუკეთეს. ტაძარს ახლაც ხის კანკელი აქვს.

ტაძარს მომდევნო ეტაპზე სამი მხრიდან მინაშენები გაუკეთეს. არის მოსაზრება, რომ ჩრდილოეთის ეკლესია მთელ სიგრძეზე გასდევდა ტაძარს, 1912 წ. კი მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი - სამსხვერპლო იქნა ადღენილი, თუმცა, დანარჩენი მინაშენის კვალი დღეს არსად იკითხება. სათავსი გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით ნალისებური ფორმის აფსიდით. ის მთავარ ტაძარს ტაძრის ჩრდილოეთის კარით უკავშირდებოდა, რომელიც შემდეგ ამოუშენებიათ. დამოუკიდებელი კარი აქვს დასავლეთის მხრიდან. ის თაღოვანია. ჩრდილოეთ კედელში ორი, ხოლო დასავლეთით ერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. თაღოვანი სარკმელია გაჭრილი აფსიდის ღერძზეც, რომლის ორივე მხარეს თითო არქიტრავული ნიშია მოწყობილი. კონქი სფერულია, სატრიუმფო თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა. სამხრეთის კედლის შუაში პოსტამენტზე აღმართული ფართო პილასტრიდან დეკორატიული თაღებია გადაყვანილი, რომელსაც სამსხვერპლოს კამაროვანი გადახურვა ეყრდნობა.

სამხრეთის მინაშენი, რომელიც ჩრდილოეთის მინაშენთან შედარებით უფრო დაბალია, მთელ სიგრძეზე გაუყვება ტაძარს. ის დასავლეთის გარშემოსავლელს კარით უკავშირდება. ნავს ნახევარწრიული აფსიდა აქვს, რომლის ღერძზეც სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს მცირე ზომის სწორკუთხა ნიშია. ჩრდილოეთ კედელზე ამოყვანილი პილასტრებიდან კედლის გასწვრივ თაღები იშლება, რომლებსაც სხმული ცილინდრული კამარა ეყრდნობა. ნავის სამხრეთი კედელი გახსნილი იყო მრგვალ ბოძებზე გადაყვანილი თაღებით, რომლებიც XVI ს. გადაკეთება-ადღენის დროს ამოაშენეს, ხოლო თავად ნავი სამ ნაწილად გაყვეს. ცენტრალური ნაწილი კარიბჭედ აქციეს, აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები კი დამოუკიდებელ სამლოცველოებად იქცა.

დასავლეთის გარშემოსავლელი დასავლეთიდან ორმალიანი თაღითაა გახსნილი. თაღები ფართო სწორკუთხა ბურჯს ეყრდნობა. გარშემოსავლელი ტაძარს და სამხრეთის მინაშენს კარებით უკავშირდება. ტაძრის დასავლეთ კედელზე ორი პილასტრია

ამოყვანილი, რომლებზეც კედლის გასწვრივ გარემომოსავლელის სხმული კამარის საყრდენი თალებია გადაყვანილი.

ტაძარს ჩუქურთმა არ გააჩნია. კარნიში ამოყვანილია აგურის კბილანისებრი წყობით. გადახურულია კრამიტით.

სამრეკლო XVI ს. ტაძრის განახლების დროისაა. ის ორსართულიანია და სამხრეთის მინაშენშია ჩართული: პირველი სართული სამხრეთის ნავის გადატინვრითა და ამალღებითაა შექმნილი. ის კარიბჭა. მეორე სართული კი აგურით ამოყვანილი ექვს თაღიანი ფანჩატურია. ნახევარწრიული თალები დადაბლებულ ჩარჩოშია გამოყვანილი. ფანჩატურში ასასვლელი სამხრეთი მინაშენის დასავლეთის ნაწილის სახურავზეა მოწყობილი. სამრეკლოს აგურის პირამიდული წყობის გუმბათი ქონდა. დღეს კი გადახურულია თუნუქით (სურ.20-22).

ეკლესია (ჭრელი საყდარი) დგას სოფელ ლელიანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ადგილ ქალქვაში, ვენახებში (კოორდ. 41.796768 45.967140). განეკუთვნება XVI-XVII სს. ეკლესია დარბაზულია (9x5.7 მ). ნაგებია რიყის ქვით და აგურით კირ-ღუღაბზე. გადახურულია კრამიტით. არქიტრაველი კარი სამხრეთის კედელშია გაჭრილი. ტაძრის ყველა კედელში თითო შეისრული სარკმელია. დრმა ნახევარწრიული აფსიდა მხრებითაა გამოყოფილი დარბაზისგან. მის ღერძზე სარკმელია გაჭრილი, რომლის ორივე მხარეს თითო ნიშია მოწყობილი. კონქი სფერულია. შეისრული სატრიუმფო თაღი ეყრდნობა აფსიდის მხრებს. კამარა შეისრულია. იატაკი აგურისაა. არდაბაგი ერთი საფეხურითაა ამალღებული. ტაძარს დასავლეთიდან ქონია მინაშენი (კარიბჭე?) (5.7x6.4 მ), რომელიც ახლა დანგრეულია და მხოლოდ კუთხის მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი (სურ.23).

სოფ. მაწიმი

ის დღეს საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო სოფელია, რომელიც XX ს. დასაწყისში ხელახლა დასახლდა, თუმცა შეინარჩუნა ისტორიული სახელი, რომელიც მაჭიდან წარმოდგება.

ისტორიულ წყაროებში პირველი ინფორმაცია ამ ტერიტორიის შესახებ VIII ს. ბოლო პერიოდის ამბების თხრობას უკავშირდება. სწორედ ამ დროს, ბაგრატიონთა ერთი შტოს წარმომადგენელ ადარნასე ბრმის ძმისწულებმა, რომლებიც ჰერეთის მმართველები

იყვნენ არჩილის მეფობის დროს, ჰერეთი ქართლის სამეფოდან გამოყვეს და სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობისას ტერიტორია საერისთავოებად დაყვეს. ერთ-ერთი მათ შორის მაჭის საერისთავო იყო. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის - ბაგრატ III გარდაცვალების შემდეგ კახეთ-ჰერეთში გამეფებულმა კვირიკე III-მ ქვეყანის ადმინისტრაციული მოწყობა განაახლა და ის შვიდ საერისთავოდ დაყო. ერთ-ერთი იყო მაჭის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ალაზნის ადმოსავლეთით, მაჭის წყლიდან შაკიხითა და ხუნძახითურთ ტერიტორიას, ანუ წუქეთს (ვახუშტი 1973: 561). თუმცა, ამავე საუკუნის პირველი ნახევრის გარკვეულ მონაკვეთებში ის ორ საერისთავოს აერთიანებს - მაჭისას და შტორისას, რომლის მმართველები უნდა ყოფილიყვნენ ლაგოდეხის ქოჩალოს ეკლესიის წარწერაში ნახსენები ბაქარ ერისთავთ-ერისთავი (XI ს. დასაწყისი) და ქართლის ცხოვრებასა და ალავერდის ეკლესიის წარწერაში ნახსენები ერისთავთ-ერისთავი გოდერძი (XI ს. 40-იანი წლები) (გაგოშიძე 2019: 178-180; მუსხელიშვილი 1967: 107-108; ბარნაველი 1962: 10-13). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერის მიხედვით, რომელსაც თ. ბარნაველი თოღას (მაჭის) ციხის წარწერად მიიჩნევს, ვგებულობთ XI-XII სს. მიჯნისთვის, მეფე აღსართან II დროს თოღის (მაჭის) საერისთავოს კიდევ ერთი ერისთავის - გიორგის შესახებ (ბარნაველი 1962: 92-95). 1104 წლის შემდგომ ჰერეთის საერისთავოები გაუქმდა და მათ ნაცვლად, ალაზნის გაღმა მხარში შაქამდე ჩამოყალიბდა ჰერეთის საერისთავო (ბახტაძე 2003: 120). ჰერეთის ერისთავებად ამ დროიდან ჯერ შიდა ქართლიდან წამოსული საფეოდალო სახლი - კოლონკელიძეები ინიშნებიან, ხოლო 1184 წლიდან გრიგოლისძეები (Jojua 2020: 77-81; ბახტაძე 2003: 122-124). ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, კახეთს გამეფებული გიორგი მეფე ატარებს რა რეფორმას კახეთში, აუქმებს საერისთავოებს და მათ ნაცვლად ქმნის სამოურავოებს. ამ გაუქმებულ საერისთავოებში უნდა ყოფილიყო მაჭიც, რადგან სამოურავოებში ის არ ფიგურირებს, სამაგიეროდ იმ ტერიტორიაზე, სადაც მაჭის საერისთავო მდებარეობდა, ჩნდება წუქეთის სამოურავო. XVI ს. თოღა სამეფო რეზიდენციად იქცა. არჩილ მეფის თანახმად ის მეფეთა საზამთრო სამყოფელია (არჩილი, სტრ.377). სწორედ აქ სტუმრობენ 1589-1605 წლებში ჯერ ალექსანდრე II, ხოლო შემდეგ მისი ვაჟი კონსტანტინე

რუს ელჩებს. მათი ჩანაწერების თანახმად, მაჭი არა მხოლოდ მეფეთა რეზიდენცია იყო, არამედ ჯარის თავშეყრის და წვრთნის ადგილიც. მათივე ჩანაწერებით ირკვევა, რომ 1590 წ. ალექსანდრე მეფეს რუსი მხატვრებისთვის თოღაში ეკლესია მოუხატვინებია. ამავე ელჩების წერილებიდან და ხელოვნების მუზეუმში დაცული წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერიდან ირკვევა, რომ მეფეს დედოფალ თინათინთან ერთად თოღადან ორ ვერსზე წმ. ნიკოლოზის სახელზე ახალი ეკლესია აუშენებია (Белокрылов 1889: 171-172,190-192,487-488; ბარნაველი 1962: 95-96).

ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, მაჭის ციხე მდ. მაჭის ნაპირზე კარგად გამაგრებულ ადგილას მდებარეობდა და აქვე მდინარის ხეობაში იყო დასახლებები „კაცთაგან მრავალი“, რომელიც შაჰ-აბასის ლაშქრობების დროს სრულად მოიხრდა (ვახუშტი 1973: 543-545). ალბათ, ამ დასახლებაში უნდა მდგარიყო წმ. ნიკოლოზის ეკლესიაც, რომელიც დღეს იდენტიფიცირებული არაა. ციხიდან ხუთიოდ კილომეტრში, ველზე, გაშლილი იყო დიდი დასახლება, რომელიც რამდენიმე ნაწილად იყოფოდა. აქ მდებარეობდა ერთმანეთისგან ერთი კილომეტრით დაშორებული ფუნდუკი-ქარვასლა და მცირე აბანო. XVI-XVII სს. ქალაქ თოღადან დღეს შემორჩენილია რეზიდენციის კომპლექსი, ქარვასლა და აბანოს ნანგრევები, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათხრილი 1976 წ. აბანო მცირე ზომის ნაგებობაა, ორი ოთახით, რომლებშიც განაწილებულია საბანაო აუზები და გასახლელი ნიშები (ჭილაშვილი... 1978: 106-109). დღეს აბანო თითქმის ისევ მიწითაა დაფარული.

მაჭის/თოღას ციხე – რეზიდენციის კომპლექსი მდებარეობს მაჭის წყლისა და მისი მარჯვენა შენაკადის თოღას ხევის ხერთვისზე შექმნილ კონცხზე (კოორდ. 41.822306 46.354806). კონცხი სამხრეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ფლატეებით და მდინარეებითაა გამაგრებული, ჩრდილოეთიდან - საკმაოდ ღრმა ხელოვნური თხრილით. ამ კონცხზე, სამ ჰექტარზე გაშლილი ციხე-კომპლექსი ორი ნაწილისგან შედგება: შიდა ციხისგან, რომელიც სამხრეთ ნაწილშია აგებული და ქალაქისგან, რომელსაც ჩრდილოეთის ნაწილი უკავია. კომპლექსის ძირითადი ნაწილი VIII-XI სს. თარიღდება. განვითარებულ შუა საუკუნეებში ციხე ისტორიულ წყაროებში არ ფიგურირებს და არც არქეოლოგიურად დასტურდება

აქ აქტიური ცხოვრების კვალი. მდგომარეობა იცვლება XVI საუკუნეში, როცა კახეთის მეფეების სამშენებლო-პოლიტიკური აქტივობა ციხის არა მხოლოდ განახლება-გადაკეთებაში, არამედ მის რეზიდენციად ქვევამიც გამოიხატა (ჭილაშვილი 1980: 219-231; Мелитаური 1972: 20-27).

ციხის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ქვიშაქვა, ადგილობრივი კლდის ქვა და კირდუღაბი, განახლების დროს წყობაში ჩართულია აგურიც.

შიდა ციხე - აკროპოლისი სამივე მხრიდან გალავნითაა შემოზღუდული, რომელიც კონტრფორსებით იყო გამაგრებული. კედლებში სწორკუთხა და წრიული კოშკები იყო ჩართული. აკროპოლისი ქალაქთან ჩრდილოეთ კედელში დატანებული კარით იყო დაკავშირებული. კარი ნაოთხალიანი იყო, წირთხლებში საძელე ფოსოებით. კარის დასავლეთით გალავანში ოთხკუთხა კოშკია ჩართული. ამჟამად მისი მხოლოდ ორი სართულის დონეა შემორჩენილი და ამოვსებულია ნაშალით (სურ.24).

ნაქალაქარს ჩრდილოეთიდან ფლატის მთელს სიგანეზე გადაჭიმული კედელი კეტავდა. გალავანი სხვადასხვა სისქისაა, რაც მის სხვადასხვა პერიოდში მშენებლობაზე მიუთითებს. ორივე მხრიდან გამაგრებული იყო კონტრფორსებით. კედელში გარკვეული ინტერვალით ჩართულია ჩრდილოეთისკენ განზიდული ოთხკუთხა კოშკები. კოშკები სამსართულიანი იყო. ქვედა სართულები საცხოვრებელი დანიშნულების გახლდათ, ზედა სართული კი საბრძოლო ბანს წარმოადგენდა. კედელთა სიმაგრისთვის გამოყენებულია ბადისებრი და შეწყვილებული არმირება. ქალაქში შესასვლელი ერთადერთი კარიბჭე აღმოსავლეთ ნაწილშია გაკეთებული. ის გალავნის მართობულ კედელშია მოწყობილი, რითიც უფრო მეტად იყო დაცული. კარის ორივე მხარეს კედელზე პილონები იყო მიდგმული (სურ.25).

ნაქალაქარში რამდენიმე ნაგებობაა შემორჩენილი. მათი რაობის განსაზღვრა პირობითია, რადგან ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა და თავად ნაგებობებიც მცენარეული საფარითაა დაფარული.

ა) სასახლე აკროპოლისის ყველაზე ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ის ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილ ნაგებობათა შორის ყველაზე მასშტაბურია, მაგრამ იმის გამო, რომ

მთლიანად ნაშალით და სუროთია დაფარული, გაწმენდის გარეშე მასზე საუბარი შეუძლებელია.

ბ) კარის ეკლესია სასახლის სამხრეთ აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრში დგას. თარიღდება IX საუკუნით (Мелитаури 1972: 25). ნაგებია ნატეხი ქვით დუღაბზე. დარბაზული ნაგებობაა. გარედან სწორკუთხა და შიგნიდან თაღოვანი შესასვლელები სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს. აღმოსავლეთით ერთი, ხოლო სამხრეთით ორი შიგნიდან გაფართოვებული სარკმელი აქვს. აფსიდა ნახევარწრიულია, კონქით დასრულებული, რომელიც მხრებზე გადასულ თაღს ეყრდნობა. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა ამალღებული. დარბაზის კედლებს დაბალი საფეხური შემოსდევს. დარბაზი კამართაა დასრულებული. ტაძარი 2016 წელს აღდგა და გადაიხურა თუნუქით (სურ.26-27).

გ) დახურული წყლის ავზი მდებარეობს შიდა ციხესა და სასახლეს შორის. წარმოადგენს დასავლეთიდან აღმოსავლეთით დამხრობილ ნახევრად მიწაში ჩასმულ ნაგებობას, რომელიც ორ მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი სამი თაღით ორ ნაწილადაა გაყოფილი. თითოეული სივრცე ისრული კამართაა დახურული. ჩრდილოეთი კედლის ზედა ნაწილში პატარა ხვრელია დატანებული, კამარის შუაში კი, თაღნარი კედლის ორივე მხარეს თანაბარი ზომის ღიობია გაკეთებული. ნაგებობის კედლები შიგნიდან საგანგებოდაა შელესილი კირხსნარით (სურ.28).

დ) ღია აუზი, რომელიც ასევე წყლის რეზერვუარადაა მიჩნეული (Мелитаури 1972: 26) შიდა ციხესთან ყველაზე ახლოს, აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ის მიწაში ჩადგმული მართკუთხა ფორმის ნაგებობაა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. კედლების სიმაღლე 3 მეტრამდე აღწევს. კედლები ყრუა და შიგნიდან კირხსნარით შელესილი (სურ.29).

ე) ჭა თუ ხარო, მდებარეობს დახურულ ავზსა და სასახლეს შორის. წარმოადგენს წრიულ, მიწაში ჩაჭრილ ღრმა ორმოს.

ქარვასლა-ფუნდუკი საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან 2 კმ-ით სამხრეთით მდებარეობს (კოორდ. 41.775830 46.303210). მისი ნაწილი დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული, რის გამოც ნაგებობის სრულად

დათვალიერება არ ხერხდება. ქარვასლა ისტორიულ გრემი-შემანის საქარავნო გზაზე იყო აგებული, რომელიც XVIII საუკუნემდე მოქმედებდა და კახეთის სამეფოს აღმოსავლეთთან მაკავშირებელ უმთავრეს საქარავნო გზას წარმოადგენდა. ქარვასლა ამ გზით მოსარგებლეთათვის ღამის გასათევად იყო განკუთვნილი (ჭილაშვილი 1980: 237). ამ გზის მოშლის შემდეგ, აღნიშნულმა მაჭის ქარვასლამ ფუნქცია დაკარგა და ის სათავდაცვო ნაგებობად იქცა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ამ ნაქარვასლარს ციხედ აღიქვამს და მას ტრაწაყალის ციხედ ასახელებს (ვახუშტი 1973: 543).

მსგავსად კაბალში მდებარე ქარვასლისა, მაჭის ქარვასლაც რიყის ქვითაა დულაბზე ნაგები. ფორმით კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედიანია (20x22 მ). ფართო შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს, კედლის შუაში. მის მოპირდაპირე მხარეს კედელზე ნაგებობის ნაშთი ყოფილა შერჩენილი. განსხვავებით კაბალის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქარვასლისა, აქ კედლები ბურჯებით არაა გამაგრებული. კედლის ზედა ნაწილებში შეიმჩნევა სათოფურები, რაც იმას ნიშნავს, რომ შიდა მხრიდან კედლებს სარბენი ბილიკი შემოუყვებოდა. სამწუხაროდ შენობა ეკალ-ბარდებითა და ხეებით ისეა მიუვალი რომ მისი სრულყოფილი აღწერა არ ხერხდება. (სურ.30).

სოფ. მსხალგორი

სოფელი XX ს. იმერეთიდან გადმოსახლებულთა მიერაა შექმნილი კავკასიონის ქედის ძირში, მდ. ბაისუბნის ხევის მარჯვენა ნაპირზე. სოფლის სახელიც შესაბამისად ახალია. აქედან გადაღის ჩრდილოეთ კავკასიაში გადამავალი ერთ-ერთი საუღელტეხილო გზა. ისტორიული წყაროები ამ ადგილას მდებარე დასახლებაზე არ მოგვეპოვება. ადრეული - განვითარებული შუა საუკუნეების დასახლება დღევანდელი სოფლიდან ჩრდილოეთით 3 კილომეტრში იყო გაშლილი მსხალგორის, ბაისუბნისა და კავკასიონის ქედებით შემოზღუდულ და ბუნებრივად დაცულ პატარა მინდორზე. ქვის მშრალი წყობით ნაგები ყორები, რომლებიც ნაკვეთების ზღუდეებს წარმოადგენდა, დღემდე მშვენივრად იკითხება. ალაგ-ალაგ კი ნაგებობათა კედლის წყობაც მოჩანს. დასახლება საკმაოდ დიდი ყოფილა, რომელიც, როგორც ჩანს, განვითარებული შუა საუკუნეების

ბოლოსთვის უნდა განადგურებულიყო. სოფლის ჩრდილოეთით ერთ კილომეტრში სამონასტრო კომპლექსი მდებარეობდა.

სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფლიდან ჩრდ-აღმ-ით 5 კმ-ზე. მსხალგორის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ბაისუბნისხევის მარჯვენა ნაპირზე. კომპლექსის ტერიტორია ხელოვნურადაა გამხოლოებული და გამაგრებული სამი მხრიდან ჩამომავალი არხით (კოორდ. 41.882396 46.192972). კომპლექსი გაითხარა 2015-2018 წლებში (ყვავაძე...2018: 66-69; დიღმელაშვილი... 2019: 167-171). კომპლექსი შედგება: ორნავიანი ბაზილიკის, წმ. გიორგის სახ. ეკლესიის, ორნავიანი საწნახლის და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების ნაშთებისგან. თარიღდება VII-XIV სს.

კომპლექსის შესახებ ისტორიული წყაროები არ მოგვეპოვება. მისი შემადგენელი ნაგებობების სტილისტური მონაცემებით პირველი ტაძარი - ორნავიანი ბაზილიკა სამხრეთის გალერეით VII საუკუნეშია აგებული, X საუკუნეში ტაძარი განუახლებიათ, რაზეც ტაძრის სამხრეთ კედელში ჩადგმული დამიანეს მოსახსენიებელი ხუცურით შესრულებული ნაკაწრი წარწერაც მეტყველებს, ამ დროს მიუშენებიათ დასავლეთის გარშემოსავლელი და ორნავიანი საწნახელი. მალევე ტაძარზე მეორე, ამჯერად მცირე სარემონტო სამუშაოები განხორციელდა. XI საუკუნეში ბაზილიკა საბოლოოდ დაინგრა. ბაზილიკაზე განხორციელებული ხელმეორე სამუშაოების დროს უნდა იყოს აშენებული დიდი დარბაზული ეკლესია, რომელიც მისგან ჩრდილო-დასავლეთით რამდენიმე მეტრში დგას და ორნავიანი საწნახელი, ბაზილიკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამდენად, იქმნება მძლავრი სამონასტრო კომპლექსი სხვადასხვა დამხმარე ნაგებობებით. დარბაზული ეკლესია მომდევნო ეტაპზე გაუმაგრებიათ, სამხრეთით მინამენი გაუკეთებიათ, ხოლო ჩრდილოეთით ეკვდერი მიუდგამთ. კომპლექსი განადგურებულია არაუგვიანეს XIV საუკუნისა. როგორც ჩანს, ის თემურ-ლენგის შემოსევებს შეეწირა.

მსხალგორის სამონასტრო კომპლექსი სრულიად გამორჩეულია ლაგოდუხის ძეგლებს შორის, და ერთ-ერთი გამორჩეული საქართველოს ძეგლებში, იმით, რომ კომპლექსის ორნავიანი ბაზილიკა ერთადერთი სატაძრო ნაგებობაა ქართულ ძეგლებში, რომლის აფსიდაზე საწნახელია მიშენებული. ის ტაძარში დაკრძალულის სააღაპე ღვინოების დასაწურად უნდა ყოფილიყო აშენებული.

ა) ორნავიანი ბაზილიკა სამხრეთის ეკლერიტ VII ს. თარიღდება. დგას კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ტაძარი აღმორჩნდა 2016-2018 წლებში. დანგრეულია: შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1.8 მ-ია. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვის ჰორიზონტალური წყობით დუღაბზე. ჩრდილოეთის კედლით ნაწილობრივ მიწაში ყოფილა შესმული. შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილსა და დასავლეთი კედლის შუაში აქვს გაჭრილი. სამხრეთის კარის ზღურბლი იატაკის დონიდან ერთი საფეხურითაა ამადლებული, დასავლეთის კარის კი - ორი საფეხურით. ცენტრალური ნავის დასავლეთი კედლის ძირში, მთელს სიგრძეზე საფეხურია გაკეთებული. ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც დარბაზისგან მხრებითაა გამოყოფილი. X საუკუნეში ტაძრის პირველი და მასშტაბური განახლებისას საკურთხეველი გადაკეთებულია: ბემა დაგრძელებულია და მხრების გასწვრივ მიშენებაა გაკეთებული; საკურთხეველი ქვის ტიხრითაა გამოყოფილი დარბაზისგან; ტიხარი შუაში გახსნილია და საფეხურებია გაკეთებული; საკურთხევლის იატაკი ტიხარის სიმაღლეზეა აწეული და კირხსნარით გადალესილი; საკურთხევლის სიღრმეში კედლიდან მოშორებით ქვით ნაგები ტრაპეზი დგას; საკურთხევლის ტიხრის წინ მთელ სიგრძეზე ხარისხია გაკეთებული; ამ ხარისხზე, ჩრდილოეთ კედელში მრგვალი აგურებით ამოყვანილი ბოძი დგას; საკურთხევლის ტიხრის ჩრდილოეთ ნაწილზე შემორჩენილია აგურის კანკელის ფრაგმენტი, რომელიც ბრტყელი და მრგვალი აგურებით იყო ნაგები; აფსიდის ჩრდილოეთ კედელზე დასავლეთიდან მიშენებულია სამსხვერპლო მაგიდა, რომელიც მთლიანადაა გალესილი; დარბაზის შუაში, აღსავლის კარის გასწვრივ კირით გალესილი ჯვრის აღსამართი მრგვალი ბოძია ამოყვანილი.

ჩრდილოეთის ნავი ცენტრალურისგან ორმალიანი თაღით ყოფილა გამოყოფილი, რომელიც აფსიდის ჩრდილოეთ კედელს, დასავლეთის კედელზე ამოყვანილ ნავების გამყოფ პილასტრსა და მათ შორის ქვით ნაგებ ოთხკუთხა ბურჯზე იყო გადაყვანილი. ბურჯი ტაძრის განახლებისას გაუმსხვილებიათ. ჩრდილოეთის ნავში მოხვედრა მხოლოდ ცენტრალური ნავიდანაა შესაძლებელი. ის უაფსიდოა, სამკვეთლო დანარჩენი ნავისგან ვიწრო კედლითაა გამოყოფილი. კედელს დასავლეთიდან საფეხური აქვს გაკეთებული.

სამკვეთლოს აღმოსავლეთი კედლის ძირში ბაქანია, რომლის შუაში, კედელზე მიდგმული აგურის მართკუთხა ტრაპეზის კვალია შემორჩენილი. ჩრდილოეთი ნავის დასავლეთი კედლის ძირში ასევე ბაქანია გაკეთებული.

ტაძრის კედლები მთლიანად იყო კირით შელესილი და იატაკი კირხსნარის სქელი ფენით გადალესილი.

სამხრეთის ეკვდერი ორმალიანი თაღით გახსნილი გალერეაა. აღმოსავლეთით აქვს მხრებით გამოყოფილი ნახევარწრიული ჩაწერილი აფსიდა. აფსიდის წინ, სამხრეთის კედელზე და მის მოპირდაპირედ ჩრდილოეთ კედელზე, გაკეთებული იყო ერთსაფეხურიანი დაბალი ხარისხი, რომელზეც ტაძრის განახლებისას დაუშენებიათ პილასტრები. გალერეის იატაკად თიხატკეპნილზე გადასმული კირხსნარია გამოყენებული. ეკვდერში გამართულია ქვის აკლდამა, რომელშიც დაკრძალულია მამაკაცი.

ტაძარს დასავლეთიდან მიშენებული აქვს პირველი განახლების დროინდელი გარშემოსავლელი, რომელიც დასავლეთიდან სამშალიანი თაღით უნდა ყოფილიყო გახსნილი.

ტაძარი გადახურული იყო ღარიანი და ბრტყელი კრამიტით.

საწნახელი ტაძრის პირველი განახლების დროინდელია და ის ტაძარს აღმოსავლეთით მთელ სიგრძეზე გასდევს. ის კედელზეა მიშენებული. ნავების წინ ქვაფენილია, ხოლო ჩრდილოეთ კიდეში მიწის ფენით ბაქანია გაკეთებული. თითოეული განყოფილების ნავი ფსკერისკენ დავიწროვებულია და სადარე ხვრელისკენ დაქანებული. ნავები მთლიანად შელესილია, იატაკზე კი ნალესზე სადინარი ღარია გაკეთებული. საწნახლის ნავების სადინარი ხვრელი ნავების გამყოფი კედლის ძირშია მოწყობილი.

ტაძარზე განხორციელებული მეორე სარეაბილიტაციო სამუშაოები მცირე მასშტაბის ყოფილა: თეთრი კირხსნარის თხელი ფენით გადაულესავთ საკურთხევლის იატაკი და სამხრეთი გალერეის იატაკი, საწნახლის სამხრეთის ნავის სადინარი ხვრელი ამოუქოლავთ და ამდენად ეს ნავი გაუქმებიათ, ხოლო ჩრდილოეთის ნავი ხელახლა გადაულესავთ. XI საუკუნეში ტაძარი საბოლოოდ დაინგრა და აღარც აღუდგენიათ (სურ.31-34).

ბ) დარბაზული ეკლესია (მოსახლეობა წმ. გიორგის ეძახის) (15×14.5 მ) მომდევნო ეტაპის სამხრეთის მინაშენით და ჩრდილოეთის ეკვდერით კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დგას. აგე-

ბულია X-XI საუკუნეების მიჯნისთვის (?) ნატეხი და რიყის ქვით კირხსნარის დულაბზე. დაზიანებულია: კედლების მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე 2 მეტრია. თითქმის სრულადაა დანგრეული სამხრ. მინაშენი. ეკლესიის აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედლები ერთმსაფეხურიან ცოკოლზეა ამოყვანილი. ჩრდ-ით ნაწილობრივ ნიადაგშია შესული. შესასვლელი სამია: დასავლეთიდან (ამოშენებულია), სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. აღმოსავლეთით ჩაწერილი ნახევარწრიული აფსიდია, რომელიც მხრებითაა გამოყოფილი დარბაზისგან. მხრებზე გადასულ სატრიუმფო თაღზე დაბჯენილი იყო აფსიდის კონქი. აფსიდის ღერძზე სარკმელი იყო გაჭრილი (ფორმა უცნობია). აფსიდის კედელს ორსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი შემოუყვება. არდაბაგიც ორსაფეხურიანია. საკურთხევლის სიღრმეში, სარკმლის წინ, ნატეხი ქვით ნაგები სწორკუთხა ტრაპეზი დგას, რომელსაც უკანა მხარეს პატარა სანაწილე აქვს. აფსიდის მხრების წინ ქვის საკმაოდ მასიური ტიხარი იყო ამოყვანილი, რომლებიც კანკელის ნაწილი უნდა ყოფილიყო. დარბაზს სამივე კედლის გასწვრივ დაბალი საფეხური შემოსდევს. კამარა დარბაზის გრძივი კედლების შუაში და დასავლეთ კიდეში გაკეთებულ თხელ პილასტრებზე გადასულ თაღებს უნდა დაბჯენოდა. კონსტრუქციული სიმყარისთვის მოგვიანებით გრძივ კედლებზე ქვითა და აგურით ორი წყვილი კონტრფორსი მიუშენებიათ. ეკლესიის იატაკი კირხსნართაა მოლესილი. ეკლესია განახლებულია: ამ დროსაა ამოშენებული დასავლეთის შესასვლელი, ხოლო ტაძრის გრძივ კედლებზე გაკეთებულია ქვა-აგურის კონტრფორსები.

განახლების დროინდელია სამხრეთის მინაშენი, რომელიც ეკლესიას მთელ სიგრძეზე გასდევს. ამჟამად მხოლოდ ზეძირკვლის ღონეზეა შემორჩენილი. მინაშენს ჩაწერილი ნახევარწრიული აფსიდი აქვს, რომელიც დარბაზისგან მხრებითაა გამოყოფილი. შესასვლელი ორია: სამხრ-დან და დასავლეთიდან (ესეც მოგვიანებით ამოშენებულია). ეკვდერის კამაროვანი გადახურვა (?) ტაძრის სამხრეთ ცოკოლზე ამოყვანილ პილასტრებზე გადაყვანილ თაღნარს ეყრდნობოდა (ამჟამად მხოლოდ ერთი პილასტრის კვალია შემორჩენილი). ეკვდერი ტაძარში შესასვლელი კარის აღმოსავლეთ კიდეტან ამოყვანილი კედლით უნდა ყოფილიყო ორ ნაწილად გაყოფილი. მინაშენის იატაკი მიწატკეპნილია.

ასევე გვიანდელია ჩრდ-ის მინაშენი - ეკვდერი, რომელიც ტაძრის ნახევარი სიგრძისაა. ერთადერთი შესასვლელი ტაძრის ჩრდილოეთის კარიდანაა. ეკვდერი უაფსიდოა. აღმოსავლეთის კედლის ცენტრში ერთი სწორკუთხა შიგნით გაშლილწითხლებიანი სარკმელია გაჭრილი. ერთი სარკმელია ჩრდილოეთის კედელშიც. ეკვდერის კამაროვანი გადახურვა სამხრეთის კედელზე მიდგმულ სამ პილასტრსზე გადაყვანილ თაღნარს ეყრდნობოდა. მინაშენს ცალფერდა სახურავი ქონდა. ეკვდერში, საკურთხევლის წინ გამართულია ქვასამარხი, რომელშიც დაკრძალული იყო ზრდასრული მამაკაცი.

ეკლესია, მინაშენებით გადახურული ყოფილა დარისებრი და ბრტყელი კრამიტით (სურ.35-38).

გ) ორნავიანი საწნახელი (5.55×2.87×1 მ) დგას კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში. დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით დულაბზე. წყობაში ალაგ-ალაგ აგურის და კრამიტის ფრაგმენტებია ჩართული. საწნახელს სამხრეთის მხარეს ერთსაფეხურიანი დაბალი ცოკოლი აქვს. ამავე კედელშია დატანებული სადინარი ხვრელები. კედლები გარედან შვეულია, შიგნით კი ნავების ძირისკენ ვიწროვდება. ნავები გატინრულია კედლით. საწნახელი აღდგა 2017 წ. (სურ.39).

დ) გალავანი დარბაზული ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან ჩრდილო-დასავლეთ კუთხემდე ზღუდავს გარკვეულ ტერიტორიას. ის ქვის მშრალი წყობითაა ნაგები. ამ რკალური კედლის შიგნით დარბაზული ტაძრის ჩრდილოეთით გაიწმინდა ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლების ნაშთები და რამდენიმე სხვადასხვა ზომის ქვევრი. როგორც ჩანს აქ ღია მარანი უნდა ყოფილიყო გამართული.

გალავნის უფრო ჩრდილოეთით სხვადასხვა ნაგებობის კედლის ნაშთებია შემორჩენილი, რომელთა დანიშნულების გარკვევა ახლა შეუძლებელია.

ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა წმ. ნინოს სახელობით იხსენიებს, ხოლო სამეცნიერო წრეებში ცნობილია ლაკოს ეკლესიით (ჭილაშვილი 1980: 21; წილოსანი ვ. 1947 წ. ანაზომი), დგას სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ-ზე, მდ. კაბალის (ისტორიული ნეინის) მარცხენა ნაპირზე, მსხალგორის

ქედის დასავლეთი ფერდის ძირში, ადგილ ნატრუსში (კოორდ. 41.900140 46.167140). აგებული უნდა იყოს განვითარებულ შუა საუკუნეებში. ტაძარი ნაგებია კლდის ნატეხი ქვით კირ-ღუღაბზე. წყობის ჰორიზონტალობა დაცული არაა. ნაგებია ორ ეტაპად: ჯერ კართა თაღებამდეა ამოყვანილი კედლები, ხოლო შემდეგ აშენებულია ზედა ნაწილი. ეკლესია დარბაზულია (11.5x7 მ). თაღოვანი შესასვლელები გაჭრილია როგორც სამხრეთის და დასავლეთის, ისე ჩრდილოეთის კედელში. დარბაზი განათებულია მაღალი, თაღოვანი და შიგნითკენ წირთხლებ-გაფართოვებული აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის სარკმლებით. ნახევარწრიული აფსიდა მხრებითაა გამოყოფილი დარბაზისგან. მხრები პროფილირებული კაპიტელებითაა დასრულებული (რაც იშვიათობას წარმოადგენს ამ მხარის ძეგლებისთვის). კაპიტელებზე კონქის საბჯენი სატრიუმფო თალი გადადიოდა. კონქში რეზონატორად თიხის ჭურჭელია ჩასმული. აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს იატაკიდან კონქამდე ნახევარწრიული და კონქით დასრულებული ნიშაა გაკეთებული. დარბაზის კამარა გრძივ კედლებზე იყო დაყრდნობილი. ტაძარი დახურული ყოფილა ბრტყელი კრამიტით. ამჟამად კონქი, კამარა და კედლების ზედა ნაწილი შემორჩენილი აღარაა (სურ.40-41).

სოფ. ნაწისქვილარი

სოფელი მდებარეობს მდ. ბაისუბნისხევის მარჯვენა ნაპირზე. შედის კართუბნის თემში. XX ს. დასახლებაა. ისტორიულად ის უნდა ყოფილიყო XVI ს. ქართულ სიგელ-გუჯრებში ნახსენები ბარაუნთას თემში შემავალი ერთ-ერთი უბანი.

ეკლესია (წმ. თევდორე) დგას სოფლის დასავლეთით, ვენახებში, გზის პირას (კოორდ. 41.805716 46.109014). გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიაა. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით ღუღაბზე. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, იგი გარედან თაღოვანია, შიგნიდან - არქიტრავული. კარის თალი მოგვიანებით დადაბლებულია. სამხრეთის და დასავლეთის კედელში თითო სარკმელია. ტაძარს ქვის ერთსაფეხურიანი კარნიზი აქვს. დახურულია კრამიტით. აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხეველია, რომელიც დარბაზისგან მხრებითაა გამოყოფილი. საკურთხევლის აღმოსავლეთი კედლის შუაში პირამიდულსახურავიანი სარკმელია

გაჭრილი, მის ქვეშ კი კედელზე სწორკუთხა ტრაპეზია მიდგმული. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში, საკურთხევლის მხრებთან მცირე ოთხკუთხა ნიშებია გაკეთებული. საკურთხეველსა და დარბაზს ერთიანი ოდნავ შეისრული კამარა აქვს, რომელიც საკურთხევლის მხრებზე გადასულ თაღს ეყრდნობა. ტაძარი აღდგენილია (სურ.42).

სოფ. ონანაური

სოფლის სახელი ახალია. ის ბოლო წლებამდე სოფ. აფენის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც მთლიანად იმერლებითაა დასახლებული. მოსახლეობაში შემორჩენილი გადმოცემით, სოფელმა აფენმა სახელი მღ. აფენიდან მიიღო, რომლის ნაპირებზეც ის მდებარეობს, მაგრამ თავად მდინარის სახელი საიდან მოდის, არავინ იცის. ისტორიულად აფენი (მათ შორის ონანაურიც) ქართულ ისტორიულ საბუთებში კარგად ცნობილი არბუხის თემის სანახები უნდა ყოფილიყო, რომლის მოსახლეობის ნაწილი ალავერდის ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა თავისი მიწებით.

ეკლესია (ღვთისმშობელი) მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სასაფლაოზე (კოორდ. 41.812604 45.998499). განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს. აღდგენილი და მოხატულია XVI-XVII სს. როგორც ჩანს, ადგილობრივი დიდებულების ძალისხმევით, რომელთა გამოსახულება ტაძრის დასავლეთ კედელზეა მოცემული. ონანაურის ღვთისმშობლის ეკლესია იმ იშვიათ ეკლესიათა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც გარედანაა მოხატული, კახეთში კი ამ ნიშნით ერთადერთია.

ეკლესია დარბაზულია, ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით კირის დუღაბზე, აღდგენისას კამარა გადაუყვანიათ აგურით. XX ს. რესტავრაციის შედეგად ტაძარს აგურის ხერხულა კარნიზი გაუკეთდა და კრამიტით გადაიხურა. ტაძარს შესასვლელი სამხრეთის კედელში აქვს გაჭრილი. ტაძარი ორი - აღმოსავლეთისა და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლითაა განათებული. ჩაწერილი აფსიდა ნახევარწრიულია, ის დარბაზისგან მხრებითაა გამოყოფილი, რომელზეც სატრიუმფო თაღი გადადის. საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშია მოწყობილი. დარბაზის ჩრდილოეთ კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს. დარბაზი ცილინდრული კამარითაა დასრულებული.

ტაძარი აღდგენის დროს მოუხატავთ. მხატვრობა შესრულებულია როგორც დარბაზში, ისე დასავლეთის კედლის ფასადზე. ის XVI-XVII სს. ე.წ. ხალხური მხატვრობის ნიმუშს წარმოადგენს. პალიტრა წითელია. კონქში გამოსახულია ტახტზე მჯდომი მაცხოვარი, მარჯვენა ხელში გადაშლილი წიგნით. სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შობა, ხოლო დასავლეთ ნაწილში ნათლისღებაა მოცემული. დასავლეთის კედელზე მხატვრობა სამ რეგისტრად ყოფილა მოცემული. ზედა რეგისტრი აღარ იკითხება, შუა რეგისტრში მსხვილ მასშტაბში პიროვნებაა გამოსახული, ქვედა რეგისტრში სამი საერო პირი. ჩრდილოეთის კედელზე მხატვრობა არ შემორჩა. ეკლესიის დასავლეთის ფასადის მხატვრობა წითელი საღებავითაა შესრულებული. მოცემულია წმ. ევსტათი პლაკიდას ირემზე ნადირობის სცენა. გაირჩევა წმინდანის ფიგურის ნაწილი და მისი ცხენი, რომელიც ირემს მისდევს. ირემი დინამიკაშია მოცემული მხედრისგან გაქცევის დროს, ნასროლი ისრით კისერშია დაჭრილი. წმინდანის ზურგს უკან და თავს ზემოთ თითო გრძელკაბიანი პიროვნების სილუეტებია შემორჩენილი.

2010-2011 წლებში ტაძარს სამხრეთის მხრიდან მიაშენეს ახალი ეკლესია, რითაც სრულიად დაიჩრდილა ისტორიული ნაგებობა (სურ.43-44).

სოფ. რაჭისუბანი

სოფელი მდებარეობს მდ. ლაგოდეხისხევის აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედის ძირში, მდ. სალესავის ხევში. პატარა სოფელი დასავლეთიდან გადმოსული მოსახლეობითაა შექმნილი და სოფლის სახელიც ამის მაჩვენებელია.

ეკლესია (სალესავის ხევის ეკლესია) დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ზე, მდ. სალესავის მარჯვენა ნაპირზე, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთის ექსპოზიციასზე, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე (კოორდ. 41.833894, 46.320708). აგებული უნდა იყოს განვითარებულ შუა საუკუნეებში. ეკლესია დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვით დუღაბზე. წყობა ირეგულარულია. სწორკუთხა კარი სამხრეთ კედელშია. ტაძარი განათებულია აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის თაღოვანი სარკმლებით. ნახევარწრიული აფსიდა მხრითაა გამოყოფილი დარბაზისგან. ქვის სადა კაპიტელს

კონქის საბჯენი თაღი ეყრდნობა. ტაძარი დაზიანებულია: სრულადაა ჩამონგრეული კამარა და გრძივი კედლების ზედა რიგები. ამავე დროს, ფასადები და ინტერიერი მთლიანად დაფარულია სუროთი, რის გამოც ტაძრის სრულად აღქმა რთულდება. (სურ.45).

სოფ. საქობო

პატარა სოფელია მდ. ბაისუბნისხევის მარცხენა ნაპირზე, წნორი-ლაგოდეხის მთავარ საავტომობილო გზაზე. წარმოადენს სოფ. ჰერეთისკარის გაგრძელებას ჩრდილოეთით. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ კახეთის ისტორიულ რუკაზე დაახლოებით ამ ადგილას, მდ. ნეინისწყლის (მდ. კაბალის ისტორიული სახელი) აღმოსავლეთით, ერთმანეთის გვერდით აღნიშნულია ჭიაური და ქვაბლოვანი (ვახუშტი 1997: 42). ჭიაური ალაზნის მარცხენა ნაპირიდან იწყებოდა (ჯანაშვილი 1883: 3).

ჭიაური ისტორიულ წყაროებში პირველად XV ს. მეორე ნახევარში ჩნდება, როცა გიორგი I კახთა მეფე აქ ერთ-ერთ სამოურავოს ქმნის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჭიაურის მოურავს ციხეც უნდა ჰქონოდა და ეკლესიაც. უფრო მეტიც, ერთი მხრივ კახეთში რუსი ელჩების წერილებით ირკვევა, რომ 1590 წ. ისინი ჭიაურში გარკვეულ ხანს რჩებიან, მეორე მხრივ კი არჩილ მეფე პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ წერს, რომ 1606 წ. ირანიდან მომავალი თეიმურაზ მეფე ჭიაურში ჩერდება. ეს ფაქტები იმას მოწმობს, რომ ჭიაურში სამეფო და მაღალი რანგის სტუმრების მისაღები ციხე-სახლი უნდა ყოფილიყო (Белокрылов 1889: 195-196; არჩილი, სტრ.273). კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ გაცემული სიგელით, ცნობილია, რომ ჭიაურის მოურავები XVI ს. ბოლოს ხდებიან ჩოლოყაშვილები (ქარ. ისტ. საბ. კორპ. V), რომელთა მამულები 1883 წლისთვისაც კი ლაგოდეხამდე აღწევდა (ჯანაშვილი 1883: 3). მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილის 1884 წლის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ჭიაური ლეკებს მოუოხრებიათ, ის მაინც არ მიეტოვებინათ თავად ჩოლოყაშვილებს (ჯანაშვილი 1884: 1). ლაგოდეხში თავად ჩოლოყაშვილთა მამულის არსებობა ცნობილია XIX-XX სს. მიჯნისთვის და ის მდებარეობდა დღევანდელ სოფელ ჰერეთისკარში. ჩოლოყაშვილების ევროპული ყაიდის ორსართულიანი სახლი და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები გასაბჭოების შემდეგ სკოლად და სხვა დანიშნულების ნაგებობებად გადაკეთდა,

XXI ს. დასაწყისში კი სახლი დაანგრევს. სწორედ ამ ისტორიული მუხსიერების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო ჭიაურის დატანა დღევანდელი სოფ. ჰერეთისკარის ადგილას ტოპოგრაფ ე. ბარამიძის მიერ 1923 წ. შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზეც.

ეკლესია (წმ. გიორგი) დგას სოფელ საქობოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მინდორში (კოორდ. 41.753632 46.117719). აშენებული უნდა იყოს XV-XVI სს. ტაძარი XXI ს. დასაწყისში თვითნებური აღდგენის შედეგად იმდენად დამახინჯებულია, რომ ეპოქის მახასიათებელი ნიშნები ძლივს იკითხება. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით დუღაბზე. დარბაზული ნაგებობაა. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ოთხივე კედელში თითო ვიწრო და თაღისკენ შევიწროვებული სარკმელია გაჭრილი. დრმა ნახევარწრიული აფსიდა, რომელიც ამჟამად შებრტყელებული ნახევარწრეა, დარბაზისგან მხრებითაა გამოყოფილი. საკურთხევლის ჩრდილოეთ ნაწილში მოზრდილი თაღოვანი ნიშია. მის თავზე თიხის ჭურჭელია ჩადგმული აკუსტიკისთვის. ერთი საფეხურით აწეული საკურთხეველი დარბაზისგან სამთაღიანი კანკელითაა გამოყოფილი. კანკელი აგურით უნდა იყოს აგებული (ამჟამად შელესილია). აღსავლის კარის თაღი გვერდითებზე უფრო მაღალია და დასრულებულია ფრონტონისებური თავით. თაღების საყრდენ სვეტებში მართკუთხა სახატე ნიშებია. ტაძარი კამართაა დასრულებული. ინტერიერი და კანკელი გაჯითაა გალესილი. დასავლეთიდან სამი მხრიდან თაღით გახსნილი მინაშენი აქვს. თავის დროს ის ორსართულიანი სამრეკლო უნდა ყოფილიყო, რომლის პირველი სართული ამავე დროს კარიბჭის როლს ასრულებდა. ამჟამად მხოლოდ პირველი სართულია შემორჩენილი, რომელსაც ტაძრის მსგავსად ორქანობა თუნუქის სახურავი აქვს (სურ.46).

სოფ. ფოდანნი

ფოდანნი აფენის თემში შემავალი სოფელია, მდ. აფენის მარჯვენა მხარეს გაშლილი. XVI-XVIII სს. ის ისტორიული წყაროებით ცნობილ არბუხის თემში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული.

ეკლესია (წმინდა გიორგი) დგას სოფლის სასაფლაოზე (კოორდ. 41.799054 46.028135). XXI ს. დასაწყისში ტაძარი აღდგა ადგი-

ლობრივი მოსახლეობის მიერ რის შედეგადაც ისტორიულმა ძეგლმა სრულებით დაკარგა ძველი სახე და უსახურ ნაგებობად იქცა. საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, დარბაზული ეკლესია IX-X სს. აგებულად მიიჩნეოდა. ნაგები იყო ნატეხი და რიყის ქვით დულაბზე. XVI-XVII სს. საფუძვლიანად განუახლებიათ აგურით. შესასვლელი დასავლეთიდან ქონდა. დარბაზი სხვადასხვა ზომის სარკმლებით იყო განათებული. აფსიდა ნახევარწრიულია, რომლის დერძზე გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. კონქზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხდებოდა, რომელთა ზემოთ თითო სწორკუთხა ნიშა იყო გაკეთებული. კონქში შემორჩენილი იყო გვიანი შუა საუკუნეების მხატვრობის ფრაგმენტები. ახლა ეს ყველაფერი აღარ იკითხება. ტაძრის კამარა თითო პილასტზე დაბჯენილ თაღს ეყრდნობოდა. დასავლეთიდან ტაძარი მთლიანად გახსნილი იყო და მასზე გვიანი შუა საუკუნეების აგურით ამოყვანილი მინაშენი იყო მიდგმული (ამჟამად მინაშენიანად ტაძარი ერთ მთლიანობადაა ქვეული). მინაშენზე დასავლეთიდან ორსართულიანი სამრეკლო იყო მიდგმული, რომელიც ახლა მოშლილია (სურ.47).

სოფ. ფონა

ფონა მდებარეობს მდ. კაბალის (ისტორიული ნეინის) მარჯვენა მხარეს. მისი სახელი 1889 წელს მოხსენიებულია გაზეთ „ივერიაში“, თუმცა, არა როგორც სოფლის სახელი, არამედ როგორც კაბლის ხეობის ქვედა ნაწილის სახელწოდება (ხეობის ზედა ნაწილს კი ხეჩილი რქმევია). ფელეტონის ავტორის თხრობით, აქ თითქოს დასახლება ჩანს, რომლის მოსახლეობა, კაბალის სხვა მოსახლეობასთან ერთად მეთამბაქოეობას და მესაქონლეობას მისდევდა (კახელი 1889: 2). XX ს. პირველ ნახევარში სოფელში უკვე ოსები ცხოვრობდნენ. სოფლის ტერიტორია განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში დასახლებული რომ ყოფილა, ამაზე მიუთითებს სოფლის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეებისთვის მახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები და ცალკეული სამარხები, ასევე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მდგარი ეკლესია, რომლის გარშემოც იკითხება სხვადასხვა ნაგებობათა საძირკვლის დონეზე შემორჩენილი ნანგრევები, მოშორებით კი კერამიკული ქურაცაა აღმოჩენილი.

არქიტექტურული კომპლექსი (წმინდა სამება) მდებარეობს სოფელ ფონას ჩრდილო-დასავლეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთი განშტოების ძირში (კოორდ. 41.868071 46.111523). თარიღდება XVI ს. II ნახევრით. ნაგებია აგურით და ნატეხი ქვით დუღაბზე. კუთხეებში, თაღების გადასაყვანად და კარნიზად აგურია გამოყენებული. ეკლესია დარბაზულია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში სხვადასხვა სიმაღლეზე ორ-ორი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, აღმოსავლეთისაში - სამი. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს. სამხრეთის კარის ღიობი თაღოვანია, დასავლეთისა კი აგურის წყობით გამოყვანილი ორმაგი თაღით სრულდება. ეკლესია აგურის ხერხულა ლავგარდნით არის დასრულებული. გადახურულია კრამიტით. ტაძარს აღმოსავლეთით ჩაწერილი ნახევარწრიული აფსიდა აქვს, რომელიც კონქითაა დასრულებული. კონქი აფსიდის მხრებზე გადასულ შეისრულ თაღს ეყრდნობა. აფსიდის წინ ბემაა, რომელიც ასევე შეისრული სატრიუმფო თაღითაა დასრულებული. აფსიდის ღერძზე ერთი მაღალი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში თითო სწორკუთხა ნიშაა გაკეთებული. საკურთხეველი ერთი საფეხურიტაა ამღლებული. აფსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით დამოუკიდებელი პასტოფორიუმებია, რომლებშიც შესასვლელი დასავლეთიდანაა. ორივე აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდება, რომლის შუაშიც თითო სარკმელია გაკეთებული. ორივე პასტოფორიუმში კონქი მხრებზე გადაყვანილ თაღს ეყრდნობა. ორივეში აღმოსავლეთის კედელზე ქვითა და აგურით ნაგები ტრაპეზია მიდგმული. ჩრდილოეთის პასტოფორიუმის სამხრეთ კედელში სწორკუთხა სამალავია. დარბაზის გრძივი კედლები თითო მასიური, დრმა და ორსაფეხურიანი აგურის პილასტრით და მათზე გადასული შეისრული თაღებითაა დანაწევრებული. თითოეულ თაღში თითო სარკმელია გაკეთებული. სამხრეთ-აღმოსავლეთ თაღში კი დამატებით კარიცაა გაჭრილი. პილასტრის მეორე საფეხურიდან შეისრული თაღებია გადასული, რომლებსაც კამარა ეყრდნობა. ორივე პილასტრზე თაღებს ზემოთ თითო სწორკუთხა ხვრელია დატანებული. იატაკი აგურფენილია.

1889 წ. გაზეთი ივერიაში დაბეჭდილი ცნობით, მიტოვებულ და საქონლის სადგომად ქცეულ ტაძარში ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა მხატვრობა. დღეს მისი კვალი არსად იკითხება.

ტაძარზე ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე ეკვდერია მიდგმული. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარი შეისრულთაღიანია, რომელიც დადაბლებულ არეშია ჩასმული. ეკვდერი სწორკუთხაა და დასრულებულია კამარით. სახურავი ორფერდაა.

ტაძარს დასავლეთიდან მიდგმული აქვს ორსართულიანი სამრეკლო. პირველი სართული ქვითაა ნაგები, ოთხი მხრივ თაღებით გახსნილია და იმავე დროს კარიბჭის როლს ასრულებს როგორც ტაძრისთვის, ისე ეკვდერისთვის. შეისრული თაღის პირები აგურითაა გამოყვანილი. ასევე აგურითაა გადაყვანილი ნახევარსფერული კამარა. მეორე სართული მთლიანად აგურისაა და ექვსკუთხა თაღოვანი ფანჩატურია. თაღები ნახევარწრიულია. თაღის თავები აგურის დადაბლებით შექმნილ არეშია ჩასმული. ჩრდილოეთის თაღი მოგვიანებით ამოუშენებიათ.

კომპლექსს გარშემო ყორეკედელი შემოსღევდა, ამჟამად მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი (სურ.48-50).

ტაძარი და ეკვდერი 2010 წელსაა აღდგენილი.

სოფ. შრომა

სოფელი ლაგოდებს ეკვრის დასავლეთიდან, გაშლილია მდ. შრომისხევის მარჯვენა მხარეს. შექმნილია ძირითადად ლაგოდებიდან გაღმოსული მოსახლეობით და რუსეთიდან გაღმოსახლებული ყოფილი ჯარისკაცებით 1904-1906 წლებში („გლეხი“: 1906: 10). 1913 წლისთვის შრომაში უკვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული ქართული სკოლა არსებობს (ქართველთა შორის... 1918-1919).

ეკლესია დგას სოფ. შრომის ჩრდილოეთით, მდ. შრომისხევის მარჯვენა მხარეს, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი განშტოების თხემზე (კოორდ. 41.844971 46.256615). ეკლესია აგებული უნდა იყოს განვითარებულ შუა საუკუნეებში. დარბაზულია. აგებულია ნატეხი ქვით დულაბზე. წყობის ჰორიზონტალობა დარღვეულია. შესასვლელი სამხრეთიდან ქონია. აფსიდა ნალისებრი ფორმისაა, მხრებით გამოყოფილი დარბაზისგან. აფსიდის ღერძზე მაღალი და თაღოვანი სარკმელია, რომლის ორივე მხარეს იატაკიდან კონქის ძირამდე აზიდული ღრმა ნახევარწრიული ფორმის ნიშებია. ეკლესია დაზიანებულია, მთლიანად მორღვეულია სამხრეთ-დასავლეთი

კუთხე და სამხრეთის კედლის ზედა ნაწილი. ჩამონგრეულია კონქი და კამარა. ტაძარი ძალიან გავს კაბალსა და ლაკოს ხერთვისთან მდგარ ლაკოს ეკლესიას. დიდი ალბათობით ერთი პერიოდის ძეგლები უნდა იყოს (სურ.51-52).

ეკლესია დგას სოფელ შრომის სამხრეთით 4 კილომეტრზე, მდ. შრომისხევის მარცხენა მხარეს, მინდორში (კოორდ. 41.775733 46.228000). აშენებულია ადრეულ შუა საუკუნეებში. შემდგომში გადაკეთებულია. ეკლესია ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით დუღაბზე. წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას ჩრდილოეთის და სამხრეთის გალერეებით. თითქმის დანგრეულია: შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის გალერეა, მთავარი ნავისა და სამხრეთი გალერეის კონტურები. დაფარულია ნანგრევი მასით. ტაძარს შესასვლელი დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ქონდა. ჩრდილოეთის შესასვლელი, რომლითაც ის ჩრდილოეთის მინაშენს უკავშირდებოდა, თაღოვანია. დანარჩენზე მსჯელობა არ ხერხდება. ჩრდილოეთის გალერეთ თუ ვიშკელებთ, ტაძარი რიყის ქვის მარტივი ლავგარდნით სრულდებოდა და კრამიტით იყო დახურული. ჩრდილოეთის გალერეას ადმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი აქვს, რომლის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდა მხრებითა და მასზე გადასული სატრიუმფო თაღითაა გამოყოფილი, რომელსაც კონქი ეყრდნობა. საკურთხეველი დარბაზისგან ერთი საფეხურიითაა ამალღებული. გალერეის დასავლეთის კედელი ერთი, ჩრდილოეთისა კი ბოძზე დაყრდნობილი ორი ნალისებრი თაღით იყო გახსნილი. გადახურულია კამარით. ტაძარი მოგვიანებით გადაუკეთებიათ: ჩრდილოეთის გალერეის ჩრდილოეთის და სამხრეთის თაღები ამოუშენებიათ და მხოლოდ სასარკმლე დიობები დაუტოვებიათ, ხოლო დასავლეთის თაღი კარის დიობად უქცევიათ. ასევე ეტყობა გადაკეთების კვალი ფრაგმენტულად შემორჩენილ სამხრეთის გალერეასაც (სურ.53-54).

სოფ. ხომატიანი

სოფელს სახელი უნდა მიეღო სახალხო გმირის ხომატისგან. ქართული ხალხური თქმულების მიხედვით ხომატი გავაზული ყოფილა, რომელმაც მეფის თხოვნით მოკლა სოფლებს გადამტერებული გველეშაპი, თუმცა, თვითონაც დაიდუპა გველეშაპის შხამით.

მადლიერმა მოსახლეობამ გმირი დაკრძალა, ხოლო მეფემ მის საფლავზე ტაძარი ააგო. მკვლევარ მ. ჩხაიძის მოსაზრებით, ხომატი რეალური პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელიც, შესაძლოა, შაჰ-აბასის ლაშქრობებს შეეწირა და მოსახლეობამ ის გმირად აქცია (ჩხაიძე 1959: 537-578).

მისივე სიტყვებით, მოსახლეობა ხომატიანის თავდაპირველ სახელად ლისას ასახელებდა, თუმცა, საიდან მოდის ეს სახელი და ნამდვილად ერქვა თუ არა სოფ. ხომატიანის ადგილას არსებულ დასახლებას ლისა, ძნელი სათქმელია, მით უფრო, რომ არც ერთ ისტორიულ წყაროში მსგავსი ტოპონიმი არ ფიგურირებს.

ხომატიანის ადგილას არსებული სოფელი, რომელსაც ხომატის საფლავზე აგებული ეკლესია ეკუთვნოდა, გვიან შუა საუკუნეებში ნამდვილად დასახლებულია და მისი არსებობა მასთან გამავალი შემახა-გრემის საქარავნო გზით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ გზის აგურფენილი ფრაგმენტები სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში ამჟამინდელი ვენახების ტერიტორიაზე ჯერ კიდევ XX ს. 70-იან წლებში აღმოჩნდა. იქვე მდებარეობდა მცირე კოშკი, რომელიც როგორც ჩანს, გზის მეთვალყურე უნდა ყოფილიყო (ჭილაშვილი 1980: 232).

სოფელი XVII-XVIII სს. ლაშქრობებს უნდა შეწირვოდა. იგივე ადგილზე კი XIX საუკუნიდან ჩნდება ოსური სოფელი.

ეკლესია (ღვთისმშობელი) დგას სასაფლაოზე (კოორდ. 41.843494 46.030803). ტაძარი სამრეკლოსთან ერთად აშენებული უნდა იყოს XVI საუკუნეში. თუმცა, ჯერ ეკლესიაა აგებული, ხოლო შემდეგ მასზე მიდგმულია ორსართულიანი კარიბჭე-სამრეკლო. მოსახლეობაში შემორჩენილი გადმოცემით, ტაძრის კარიბჭეში, გმირი ხომატია დაკრძალული, რომელიც როგორც აღინიშნა, თქმულების მკვლევარს შაჰ-აბასის ლაშქრობებს შეწირული რეალური პიროვნება ჰგონია, რომლის საფლავზეც აიგო ხომატის ეკლესია (ჩხაიძე 1959: 537-578). თუმცა, ეკლესიის სტილისტური ანალიზი ამ მოსაზრებას ნაკლებ დამაჯერებელს ხდის, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ გაღმა მხრის ამ ნაწილში მშენებლობას ადგილი აღარ ჰქონია.

ეკლესია დარბაზულია. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით და აგურით დულაბზე. ქართული აგური გამოყენებულია კუთხეებში, არმირებისთვის, კარ-სარკმელთა გამოსაყვანად და კარნიშში.

დასავლეთიდან დაბალ და ფართო ცოკოლისებრ საფეხურზეა შემდგარი. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. კარის გარედან არქიტრავითაა დასრულებული შიგნიდან კი თაღოვანია. ყველა კედელში თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ნაგებობა აგურის ხერხულა ლავგარდნით სრულდება. გადახურულია კრამიტით. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდია, რომელიც დარბაზისგან მხრებითაა გამოყოფილი. საკურთხევლის კონქი მხრებზე გადასულ თაღს ეყრდნობა. აფსიდის ღერძზე სარკმელია გაჭრილი, რომლის ქვეშ აგურის ტრაპეზია კედელზე მიდგმული. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა და ღრმა ნიშაა. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა ამალღებული. აფსიდის მხრებთან აგურის კანკელის ფრაგმენტია შემორჩენილი. დარბაზის გრძივი კედლების შუაში აგურის ფართო პილასტრია, რომელზეც კამარის საბჯენი თადია გადაყვანილი. დასავლეთი კედლის კუთხეებში, იატაკის დონეზე საფეხურია გაკეთებული. იატაკი აგურისაა.

ტაძარში დაცულია XVI-XVII სს. მხატვრობა, რომელიც ე.წ. ხალხურ სტილს განეკუთვნება. მხატვრობა სამ რეგისტრატაა შესრულებული. კონქში გამოსახულია დეისუსი - ტანტზე დაბრძანებული უფალი, მარცხენა ხელში წიგნი უჭირავს, მარჯვენათი აკურთხებს. მის აქეთ-იქით ღვთისმშობლისა და მახარებლის ფიგურები უკვე აღარ იკითხება, ისევე როგორც აღარ იკითხება ქვედა რეგისტრის გამოსახულებები. დარბაზის მხატვრობიდან ჯერ კიდევ ჩანს პირველ რეგისტში მოცემული ჯვარცმის, ფერისცვალებისა და შობის სცენები, რომლებიც პილასტრებით დანაწევრებულ გრძივ კედლებზეა მოცემული. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ქვედა რეგისტში კი ორი ქტიტორის წელსქვევითა სილუეტია შემორჩენილი. ისინი საკურთხევლისკენ არიან მიმართულნი. პირველ რიგში მამაკაცია, მეორე კი ქალბატონი.

ტაძარზე დასავლეთიდან მიდგმულია ორსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართული რიყის ქვითა და აგურითაა ნაგები, მეორე სართული კი მთლიანად აგურისაა. სამრეკლო ტაძართან ჩაშენებული კედლებითაა გადაბმული. პირველი სართული კარიბჭისა და ეკვდერის როლს ასრულებს, ამიტომ ის კვადრატული კი არაა, არამედ ოდნავ წაგრძელებული დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ფართო და სწორკუთხა შესასვლელი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდანაა. დასავლეთ კედელში კარის

თავზე, შეისრული სარკმელია დატანებული. გადახურვა კამაროვანია. იატაკის ცენტრალურ ნაწილში აგურის აკლდამაა გამართული, რომლის აგურისავე კამარის კეხი მთელს სიგრძეზეა ამოზიდული. სამრეკლოს მეორე სართული ექვსწახნაგა თაღოვანი ფანჩატურია. ნახევარწრიული თაღების კამარები დადაბლებულ არეშია ჩასმული. თაღების თავზე თითო ლაჟვარდისფრად მოჭიქული შორენკეცებია ჩასმული. ფანჩატური აგურისავე ხერხულა ლავგარდნით და ექვსწახნაგა პირამიდული სახურავით სრულდება (სურ.55-59).

წყაროები და ლიტერატურა Sources and Literature

1. არჩილ მეფე. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და ნ. მუსხელიშვილის რედაქციით. ტ.2, თბ., 1937.
2. ასათიანი ნ. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. თბ., 1999.
3. ბარნაველი თ. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ., 1962.
4. ბახტაძე მ. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003.
5. გაგოშიძე გ. ქოჩალოს ეკლესიის წარწერა. საქ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჟურნ. ონლაინ არქეოლოგია. N15, 2019. იხ.:
<https://www.heritagesites.ge/uploads/files/5d5e72c46ec92.pdf>
6. გასანოვი ა. კაბალი წინათ და ახლა. გაზ. „გამარჯვების დრომა“. 1960, N22, 19 იანვარი.
7. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართლი თარგმანებითურთ გამოსცა და გამოკლვევა დაურთო გ. გელაშვილმა. I., თბ., 1962.
8. „გლეხი“. ყოველკვირეული სახალხო გაზეთი. 1906. 13 ივლისი, N4.
9. დედაბრიშვილი შ. ალაზნის ველის გორასამარხები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. II. თბ., 1979.
10. დარეჯანაშვილი დ., ყვავაძე დ., როვა ე. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭიაურის მიწებზე 2018 წ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2018 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბ., 2019.
11. დიდმელაშვილი ქ., ყვავაძე დ. მსხალგორის სამონასტრო კომპლექსის 2018 წ. არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბ., 2019.
12. დიდმელაშვილი ქ. ლაგოდეხის თელას კომპლექსის იდენტიფიკაციისათვის. მოხსენება წაკითხულ იქნა საქართველოს

- ეროვნული არქივის საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივმცოდნეობა, წყარომცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“. თბილისი. 2020 წ. მოხსენების ბეჭდური ვერსია იხ. ვებ.გვერდზე: <https://www.academia.edu/44435209>
13. ელიზბარაშვილი ი. ქართული ორნავიანი ეკლესიების გენეზისისა და ლიტურგიკულ-ფუნქციური დატვირთვის შესახებ. ჟურნ. ACAD-DEMIA (ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი). 2. თბ., 2001.
 14. ვარაზაშვილი ვ. ძვ.წ. IV ათასწლეულის შუახანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. IV. თბ., 1980.
 15. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.4, თბ., 1973.
 16. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს). თბ., 1997.
 17. ზაქარაია პ. ძველი საქართველოს ქარვასლები და ქულბაქები. ჟურნ. ძეგლის მეგობარი. N3, 1996.
 18. იოანე ბატონიშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერა. თბ., 1986.
 19. „ივერია“. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. 1890, 10 აპრილი, N73.
 20. კახელი ი. ორი დღე კაბალზე. გაზეთი „ივერია“. 1889, 22 აგვისტო, N178.
 21. ლაღიაშვილი გ. იალოილუთეფეს კულტურა ალაზნის ველზე. თბ., 2020.
 22. ლორთქიფანიძე მ. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II., თბ., 1973.
 23. მახარაძე ზ., კალანდაძე ნ., მურვანიძე ბ. ანანაურის დიდი ყორღანი N3. თბ., 2016.
 24. მუსხელიშვილი დ. კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. III. თბ., 1967.
 25. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977.
 26. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ., 1980.

27. ნაკაშიძე ი. ლაგოდეხელ ქართველ გლეხების თავ-გადასავალი. გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905. 7 აპრილი, N2791.
28. ორჯონიკიძე ა. ადრეული ყორღანები საქართველოში. თბ., 2014.
29. პაპუაშვილი თ. ჰერეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1970.
30. პაპუაშვილი თ. რანთა და კახთა სამეფო VIII-XI სს. თბ., 1982.
31. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. თბ., 1991.
32. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. თბ., 1993.
33. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვწ. XV-VII სს) არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1973.
34. ფიცხელაური კ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბ., 2013.
35. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ.1, თბ., 1955.
36. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომის ოქმები. 1912. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 481 | ანაწერი 1 | საქმე 1282. იხ.: <https://society.iliauni.edu.ge/source/article/3620>
37. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახალხო ბიბლიოთეკებისა და სკოლების მოქმედების ანგარიშები|1912-1925. საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 481|ანაწერი 1|საქმე 1299. იხ.: <https://society.iliauni.edu.ge/source/article/3649>
38. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრების ოქმები. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებები და წლიური ანგარიშები. 1918-1919. იხ.: <https://society.iliauni.edu.ge/factoid/article/27432>
39. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. მოშიაშვილმა. I. თბ., 1984.
40. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. V. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ. (წიგნი ბეჭდვის პროცესშია).
41. ღლონტი ა. ტოპონიმიკური ძიებანი. III. ლაგოეთის ტოპონიმია. თბ., 1981.

42. ყვავაძე დ., დიღმელაშვილი ქ. ზემო მსხალგორის წმ. გიორგის სახელობის არქიტექტურული კომპლექსის 2017 წ. არქეოლოგიური კვლევების მოკლე ანგარიში. 2017 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბ., 2018.
43. ჩხაიძე მ. ხომატიანი. თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. თელავი, 1959, ტ.3.
44. ჭილაშვილი ლ., მჭედლიშვილი ბ., აფხაზავა ნ. არემის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. VI. 1978.
45. ჭილაშვილი ლ. არემი. თბ., 1991.
46. ჭილაშვილი ლ. კახეთის ქალაქები. თბ., 1980.
47. ხარაძე კ. კახეთის ისტორიული გეოგრაფია XVIII ს. თბ., 2010.
48. ხარშილაძე ნ. კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის წერილობითი მემკვიდრეობა. თბ. 2014.
49. ჯამბურია გ. ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ., 1973.
50. ჯანაშვილი დ. ლაგოდეხი და მისი მცხოვრებლები. გაზეთი „დროება“. 1884. 25 აპრილი, N89.
51. ჯანაშვილი მ. მოგზაურობა საინგილოში. გაზეთი „დროება“. 1880. 20 აგვისტო, N175.
52. ჯანაშვილი მ. თბილისიდან კახამდის. გაზეთი „დროება“. 1883. 28 ივნისი, N123.
53. Белокуров С. Сношения России с Кавказом. Вып.-1. М., 1889.
54. Мелитаури К. Н., Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии, т. II, Тбилиси. 1972.
55. Чубинашвили Г. Архитектура Кахетии. Тб., 1959.
56. Шмерлинг Р. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1962.
57. Хроника войн Джара в XVIII столетии. Баку. 1931.
58. Brosset M. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle. S.-Peterbourg. 1849.
59. Jojua T. The Portrait of Arsen I Kolonkelisdze Chkondidel-Mtsignobartukhutsesi (1170 s) at the Kolagiri Monastery of Gareji: Historical and Source Study Analysis. International Conference Davit Gareji – Multi-disciplinary Study and Development Strategy. 2019. Georgia. Proceedings. Tbilisi 2020, pp.77-81.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს არქივში დაცული მასალა**
**Material preserved in the archives of the National Agency for Cultural
Heritage Preservation of Georgia**

1. ბ ჟუაშვილი თ. „მაჭის ციხე“. რესტავრაციის წინასწარი სამუშაოები. 1990 წ.
2. ბუაშვილი თ. „მაჭის ციხის“ კომპლექსი. მუშა პროექტი. 1990 წ.
3. თუმანიშვილი დ. ლელიანის წმ თევდორე. მოკლე ისტორიული ცნობა.
4. რევიშვილი ს. თელა. ანაზომები. 1947 წ.
5. წილოსანი ვ. ლელიანის წმ თევდორეს ეკლესია. ანაზომები. 1947 წ.
6. წილოსანი ვ. ფონას სამება. ანაზომები. 1947 წ.
7. წილოსანი ვ. ხეჩილი. ნატრუსი. ანაზომები. 1947 წ.
8. წილოსანი ვ., რევიშვილი ს. ხოშათიანი. ბაზილიკა. ანაზომები. 1947 წ.
9. რევიშვილი ს. ახალი საქობოს წმინდა გიორგის ეკლესიის ანაზომი. 1947 წ.

INTRODUCTION

The following book is an attempt to put together all the historical heritage of Lagodekhi municipality which survived throughout the centuries. As most of the monuments in this book are still unknown to the public and scientific society, this publication is important since it presents a more complete catalogue of these historical sites. The book excludes a few historical heritage sites due to their poorly preservation and fragmented visibilities that, according to us, need further archaeological investigation before their publication.

Lagodekhi municipality is located at the eastern edge of Georgia. To the east and the north, it borders with Russia and Azerbaijan, whereas its territory borders with Q'vareli to the west and with Gurjaani and Signaghi municipalities to the south. The territory is naturally divided into two parts: the mountainous northern part lies within the Great Caucasus ridge and the flat southern part within the Alazani valley. The climate of this territory is subtropical, despite its ranging height from 200m up to 3484m altitudes. Historically, this territory was part of what since late medieval times was called "Gaghma Mkhari" (lit. "other side"), referring to the land on the other side of the Alazani River.

Nowadays, the Lagodekhi municipality consists of 63 villages with Lagodekhi as the main city. Today, on the territory of Lagodekhi municipality approximately 40 historical heritage sites are counted, two of which are churches built during the Russian Empire. The remaining 38 were constructed in the periods between Early Medieval Ages and XVII century. These historical constructions are bounded to different political processes this area experienced over the centuries. For instance, the Christianisation of these lands, which occurred between the IV and the VIII centuries, generated the edification of many churches that are also presented and analysed in this book. The flourishing of these constructions dates back also to a later period, during Kings Levan I and Alexandre II' kingdoms (1520-1605), who built and renovated many churches and castles. This short "golden age" soon finished with the invasion of the territory by the Iranian Shah Abas I in the beginning of the XVII century. His military campaigns and the following frequent military raids by Dagestani people not only halved the

population living in the area, but destroyed and dismantled all the buildings and churches. It is only in the XIX century that the population in these territories increased: first with Russian settlements and later, between the end of XIX century-beginning of XX century, with Georgian migrants coming from western Georgia as well as families from the Kakheti region.

Given this difficult and complicated history, many of the historical sites presented in this book are mostly left in ruin and, above all, lack of a comprehensive archaeological and historical study. In fact, only few of these 40 sites are mentioned in manuscripts and other historical sources. Therefore, in this book we present a more complete catalogue of these sites, with an analysis based on stylistic methodology to date them. In what follows, we present a short historical reconstruction before describing the above-mentioned sites. As this is not a book translation, but an English summary, we will give a brief descriptive account of each site, giving basic information about the places.

HISTORICAL CONTEXT

